1990

ISSN 0203—2023

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 11

1990

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უწყებები

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს გამოცემა

თბილისი

19.644

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უწყებები

№ 11 (604) ნოემბერი 1990 წელი

შ ი ნ ა ა რ ს ი

განყოფილება პირველი

280. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს უზენაესი საბჭოს პირველი მოწვევის პირველი სესიის მოწვევის შესახებ.
281. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება აბაშის სახალხო დეპუტატთა მეოცე მოწვევის რაიონული საბჭოს მეთექვსმეტე სესიის გადაწყვეტილებათა გაუქმების შესახებ.
282. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნების შედეგების შესახებ ცენტრალური საარჩევნო კომისიის ინფორმაციის თაობაზე.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ მიღებული კანონები და დადგენილებები

283. საქართველოს უზენაესი საბჭოს დადგენილება საქართველოს უზენაესი საბჭოს ხმის დამთვლელი კომისიის არჩევის შესახებ.
284. საქართველოს უზენაესი საბჭოს დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სხდომების დროებითი რეგლამენტის შესახებ.
285. საქართველოს უზენაესი საბჭოს სხდომების დროებითი რეგლამენტი.
286. საქართველოს უზენაესი საბჭოს დადგენილება საქართველოს უზენაესი საბჭოს სამდივნოს არჩევის შესახებ.
287. საქართველოს უზენაესი საბჭოს დადგენილება საქართველოს უზენაესი საბჭოს სარედაქციო კომისიის არჩევის შესახებ.

საქართველოს

№ 11

288. საქართველოს უზენაესი საბჭოს დადგენილება საქართველოს უზენაესი საბჭოს სამანდატო კომისიის არჩევის შესახებ.
289. საქართველოს უზენაესი საბჭოს დადგენილება სამანდატო კომისიის მოხსენების გამო.
290. საქართველოს უზენაესი საბჭოს დადგენილება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განცხადების შესახებ.
291. საქართველოს უზენაესი საბჭოს დადგენილება საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის არჩევის შესახებ.
292. საქართველოს რესპუბლიკის კანონი საქართველოს სსრ სახელწოდების შეცვლის შესახებ.
293. საქართველოს რესპუბლიკის კანონი საქართველოს რესპუბლიკაში გარდამავალი პერიოდის გამოცხადების შესახებ.
294. საქართველოს რესპუბლიკის კანონი საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო გერბის შესახებ.
295. საქართველოს რესპუბლიკის კანონი საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო დროშის შესახებ.
296. საქართველოს რესპუბლიკის კანონი საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნის შესახებ.
297. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის არჩევის შესახებ.
298. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის არჩევის შესახებ.
299. საქართველოს რესპუბლიკის კანონი საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობის შემოღების შესახებ.
300. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის დანიშვნის შესახებ.
301. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მუდმივი კომისიების შექმნის შესახებ.
302. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მუდმივი კომისიების თავმჯდომარეთა არჩევის შესახებ.
303. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება ადამიანის უფლებათა დაცვისა და მართლწესრიგის განმტკიცების შესახებ.
304. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის კანონებისა და უზენაესი საბჭოს დადგენილებების პროექტების შემუშავების შესახებ.
305. საქართველოს რესპუბლიკის კანონი საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში (ძირითად კანონში) ცვლილებების შეტანის შესახებ.
306. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის ახალი კონსტიტუციის პროექტის მოსამზადებელი კომისიის შექმნის შესახებ.
307. საქართველოს რესპუბლიკის კანონი სავალდებულო სამხედრო სამსახურის შესახებ. სსრ კავშირის კანონის საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედების თაობაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

308. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება დეპუტატ თ. დ. დიხამინჯიას საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრესცენტრის ხელმძღვანელად დანიშვნის შესახებ.

309. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ინფორმაციისა და პროგნოზირების ცენტრის შექმნის შესახებ.

310. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მიერ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს და მისი კომისიების სხდომათა გაშუქების წესის შესახებ.

311. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს კანონმდებლობისა და კანონიერების დაცვის კომისიის არჩევის შესახებ.

312. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის არჩევის შესახებ.

313. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ეკონომიკური რეფორმის კომისიის არჩევის შესახებ.

314. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ჰუმანიტარულ და სოციალურ საკითხთა კომისიის არჩევის შესახებ.

315. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მრეწველობის, ენერგეტიკის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის კომისიის არჩევის შესახებ.

316. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სოფლის მეურნეობის, მიწათსარგებლობისა და ეკოლოგიის კომისიის არჩევის შესახებ.

317. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს საგარეო ურთიერთობათა კომისიის არჩევის შესახებ.

318. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავდაცვის, ეროვნული უშიშროებისა და მართლწესრიგის კომისიის არჩევის შესახებ.

319. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს კულტურის, განათლებისა და მეცნიერების კომისიის არჩევის შესახებ.

320. საქართველოს რესპუბლიკის კანონი საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს გაერთიანების შესახებ.

321. საქართველოს რესპუბლიკის კანონი საქართველოს რესპუბლიკის ტრანსპორტის სამინისტროს შექმნის შესახებ.

322. საქართველოს რესპუბლიკის კანონი საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერების, ტექნიკისა და პერსპექტიული დაგეგმვის სამინისტროს შექმნის შესახებ.

323. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება ჯ. გ. ხეცურიანის საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრად დანიშვნის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

324. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება ი. ა. მენდელევიჩისა საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მინისტრად დანიშვნის შესახებ.

325. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება ნ. ა. წულეისკირის საქართველოს რესპუბლიკის კულტურის მინისტრად დანიშვნის შესახებ.

326. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება ლ. ნ. ანდღულაძის საქართველოს რესპუბლიკის განათლების მინისტრად დანიშვნის შესახებ.

327. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება თ. შ. კვანტალიანის საქართველოს რესპუბლიკის ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ.

328. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება ი. ს. ჟორდანიას საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერების, ტექნიკისა და პერსპექტიული დაგეგმვის მინისტრად დანიშვნის შესახებ.

329. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება ა. პ. ჩხეიძის საქართველოს რესპუბლიკის ტრანსპორტის მინისტრად დანიშვნის შესახებ.

330. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება ფ. გ. ტყიბუჩავას საქართველოს რესპუბლიკის კავშირგაბმულობის მინისტრად დანიშვნის შესახებ.

331. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება თ. გ. გველესიანის საქართველოს რესპუბლიკის ვაჭრობის მინისტრად დანიშვნის შესახებ.

332. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება გ. ვ. აბსანძის საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრად დანიშვნის შესახებ.

333. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება ფ. მ. ხაბულიანის საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრად დანიშვნის შესახებ.

334. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება ვ. მ. ხოშტარიას საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრად დანიშვნის შესახებ.

335. საქართველოს რესპუბლიკის კანონი საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ.

336. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს მიერ ოლქის სტატუსის შეცვლის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა შესახებ.

337. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება დეპუტატ ვ. პ. დომუხოვსკის მიერ შეკითხვის წესით დასმული საკითხის შემსწავლელი კომისიის შექმნის შესახებ.

338. საქართველოს რესპუბლიკის კანონი საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის ზოგიერთი მუხლის მოქმედების შეჩერების თაობაზე.

339. საქართველოს რესპუბლიკის კანონი ამნისტიის შესახებ.

340. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება ამნისტიის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის 1990 წლის 22 ნოემბრის კანონის გამოყენების წესის თაობაზე

341. საქართველოს რესპუბლიკის კანონი არსებული უქმე დღეების გაუქმებისა და ტრადიციულთა აღდგენის შესახებ.

342. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის ახალი კონსტიტუციის პროექტის მომზადების თაობაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

343. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება სამედიცინო ინსტიტუტში ამბიტურიენტთა ჩარიცხვასთან დაკავშირებული საკითხების გამომკვლევი კომისიის შექმნის შესახებ.

განკოფილება მეორე

344. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება გ. შ. ციციშვილისათვის „საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

345. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ვ. მ. ბულიასათვის „საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

346. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება გ. გ. ნადარეიშვილისათვის „საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

347. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ვ. ვ. ჯორჯიკიასათვის „საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

348. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება გ. მ. ხაზარაძისათვის „საქართველოს სსრ მრეწველობის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

349. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ა. ჯ. ინაიშვილისათვის „საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

350. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ფოთის ვ. გუნიას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობთაათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

351. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება გ. ვ. გაბუნიასათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული გამომგონებლისა და რაციონალიზატორის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

352. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ვ. დ. გულორდავასათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

353. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ნ. გ. ვარაზაშვილისათვის „საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

354. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „საქართველოს სსრ მრეწველობის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

355. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ.

356. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

357. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ვ. მ. გოგიშვილის საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

განკოფილება მესამე

საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს პირველი სესია.

მიმართვა სრულიად საქართველოსადმი.

მიმართვა მსოფლიოს ხალხებისადმი.

მიმართვა ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მონაწილე ქვეყნების სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების პარიზის კონფერენციისადმი.

მიმართვა სსრ კავშირის პრეზიდენტს მ. ს. გორბაჩოვს სამოკავშირეო ხელშეკრულების პროექტის თაობაზე.

ინფორმაცია საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნების შედეგების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება პირველი

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

280 საქართველოს პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის მოწვევის შესახებ

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

მოწვეულ იქნეს საქართველოს პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს პირველი სესია 1990 წლის 14 ნოემბერს 10 საათზე ქ. თბილისში.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. გუმბარიძე.
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 5 ნოემბერი.
№ 2858—XI

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება

281 აბაშის სახალხო დეპუტატთა მეოცე მოწვევის რაიონული საბჭოს მეთექვსმეტე სესიის გადაწყვეტილებათა გაუქმების შესახებ

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ 1990 წლის 5 სექტემბერს გაიმართა აბაშის სახალხო დეპუტატთა მეოცე მოწვევის რაიონული საბჭოს მეთექვსმეტე სესია. სესია, როგორც ეს სამართლიანად არის აღნიშნული საქართველოს სსრ უზენაეს საბჭოში შემოსულ კოლექტიურ საჩივარში, მიმდინარეობდა კანონით გათვალისწინებული ნორმების დარღვევით. ჯერ-ოდ, წინასწარ არ იყო გამოცხადებული სესიის დღის წესრიგი, მისი ჩატარების დრო, დეპუტატებს არ დაურიგდათ სათანადო მასალები წინასწარ გასაცნობად და, რაც მთავარია, ისეთი მნიშვნელოვანი საკითხის განხილვისას, როგორიცაა რაიონული საბჭოს პრეზიდიუმის ‘ მ ქ ნ ა, მისი თავმჯდომარისა და მოადგილის, აგრეთვე რაისაბჭოს აღმასკომის ახალი თავმჯდომარის არჩევა, სხდომას 75 დეპუტატიდან ესწრებოდა მხოლოდ 39, ე. ი. არ იყო დეპუტატთა ორ მესამედზე მეტი, როგორც „საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს შესახებ“ კანონით არის გათვალისწინებული.

ყოველივე ზემოთ აღნიშნული იმის შედეგია, რომ სესია ჩატარდა ნაჩქარევად, სათანადო მომზადების გარეშე, კანონით დაწესებული ნორმების უგულებელყოფისა და დაუდევრობის ვითარებაში, რაც აბაშის სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომის ხელმძღვანელებისა და აპარატის მუშაობაში არსებულ ხარვეზებზე მიუთითებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

გაუქმდეს აბაშის სახალხო დეპუტატთა მეოცე მოწვევის მეთექვსმეტე სესიის გადაწყვეტილებანი, რომლებიც მიღებულ იქნა „საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს შესახებ“ კანონის დარღვევით.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. გუმბარიძე.
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 5 ნოემბერი.
№ 2859—XI

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება

282 საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნების შედეგების შესახებ ცენტრალური საარჩევნო კომისიის ინფორმაციის თაობაზე

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

მიღებულ იქნეს ცნობად ცენტრალური საარჩევნო კომისიის ინფორმაცია საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნების შედეგების შესახებ (თან ერთვის).

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. გუმბარიძე.
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 5 ნოემბერი.
№ 2860—XI

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ მიღებული კანონები და დადგენილებები

(1990 წლის 14-15 ნოემბერი)

საქართველოს უზენაესი საბჭოს დადგენილება

283 საქართველოს უზენაესი საბჭოს ხმის დამთვლელი კომისიის არჩევის შესახებ

საქართველოს უზენაესი საბჭო **ადგენს:**

1. საქართველოს უზენაესი საბჭოს ხმის დამთვლელი კომისია განისაზღვროს 9 კაცის რაოდენობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. კომისიის შემადგენლობაში არჩეულ იქნენ შემდეგი დეპუტატები:
ვახტანგ ამირანის ძე **ჭითავა**
ზვიად ვალიკოს ძე **ძიძიგური**
ზურაბ ვახტანგის ძე **გიგოლაშვილი**
ვიტალი ნიკოლოზის ძე **ჯაში**
გურამ შალვას ძე **მაქაცარია**
მანანა გრიგოლის ასული **ძოძუაშვილი**
ვაჟა ბორისის ძე **აბაკელია**
გურამ ვენედიქტეს ძე **ქაშაკაშვილი**
გურამ რაფიელის ძე **პაპუნიძე**

საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია.

თბილისი, 1990 წლის 14 ნოემბერი.
№ 1—I ს.

საქართველოს უზენაესი საბჭოს დადგენილება

284 საქართველოს უზენაესი საბჭოს სხდომების დროებითი რეგლამენტის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**
დამტკიცდეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სხდომების დროებითი რეგლამენტი.

საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია.

თბილისი, 1990 წლის 14 ნოემბერი.
№ 2—I ს.

285 საქართველოს უზენაესი საბჭოს სხდომების დროებითი რეგლამენტი

მუხლი 1. საქართველოს უზენაესი საბჭოს სხდომები ტარდება, თუ მათ ესწრება საქართველოს უზენაესი საბჭოს წევრთა საერთო რიცხვის უმრავლესობა. უზენაესი საბჭოს წევრთა საერთო რიცხვი განისაზღვრება დეპუტატთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კორპუსის ფაქტობრივი რაოდენობით. თითოეული სხდომის წინ წარმოებს სხდომაზე მოსულ წევრთა რეგისტრაცია.

მუხლი 2. საქართველოს უზენაესი საბჭო, თუ იგი არ მიიღებს სხვა გადაწყვეტილებას, დღის განმავლობაში ატარებს ორ სხდომას: დილის — 10-დან 14 საათამდე და საღამოს — 16-დან 18 საათამდე.

მუხლი 3. დროს მოხსენებისათვის, თანამოხსენებისა და საბოლოო სიტყვისათვის აწესებს საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე მომხსენებლებთან და თანამომხსენებლებთან შეთანხმებით.

განცხადება კამათში გამოსვლისათვის სიტყვის მიცემის შესახებ შეაქვთ საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის სახელზე. კამათში გამოსვლისათვის პირველად ეძლევათ 10 წუთამდე, მეორედ — 5 წუთამდე. სხდომის გაძღოლის წესის, აგრეთვე კენჭისყრის მოტივების თაობაზე გამოსვლისა და ცნობებისათვის ეძლევათ 3 წუთამდე.

სხდომის თავმჯდომარეს შეუძლია საჭირო შემთხვევებში კენჭისყრის შედეგად გაავრძელოს გამოსვლის დრო.

მუხლი 4. კამათი წყდება საქართველოს უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილებით. კამათის შეწყვეტის წინ სხდომის თავმჯდომარე აუწყებს უზენაესი საბჭოს წევრებს გამოსვლისათვის ჩაწერილთა და გამოსულთა რიცხვს.

კამათის შეწყვეტის შემდეგ მომხსენებლებსა და თანამომხსენებლებს უფლება აქვთ გამოვიდნენ საბოლოო სიტყვით.

დეპუტატს შეუძლია თავისი წინადადებები და შენიშვნები სესიაზე განსახილველი საკითხის შესახებ გადასცეს თავმჯდომარეს წერილობით.

მუხლი 5. საქართველოს უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილებები საპროცედურო საკითხების თაობაზე მიიღება სხდომაზე დამსწრე დეპუტატთა ხმების უმრავლესობით.

საქართველოს ყველა კანონი და სხვა აქტები მიღებულად ითვლება, თუ მათ ხმას მისცემს უზენაესი საბჭოს წევრთა საერთო რიცხვის უმრავლესობა, ხოლო ისეთი კანონი, რომელიც ცვლის რესპუბლიკის კონსტიტუციას, — თუ მას ხმას მისცემს უზენაესი საბჭოს წევრთა სულ ცოტა ორი მესამედი.

მუხლი 6. მრავალპარტიული უზენაესი საბჭოს წევრთათვის თანაბარი პირობების შექმნისა და საკითხების შესაძლებლად მცირე დროში განხილვის მიზნით, კამათში გამოსულთა რიგითობა განისაზღვრება ორი პარამეტრით: წარილობითი განცხადების სამდივნოში ჩაბარების დროით და პარტიული ინდექსის შესაბამისად.

განცხადებაში მითითებული უნდა იყოს დეპუტატის სახელი, გვარი და პარტიულობა. უპარტიო დეპუტატებმა უნდა მიუთითონ, თუ ვის მიერ (საარჩევნო ბლოკში შემავალი პარტიის ან არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიის) იყვნენ დასახელებულნი დეპუტატობის კანდიდატებად. ის დეპუტატები, რომლებიც ამომრჩეველთა ჯგუფების მიერ იყვნენ დასახელებულნი, ქმნიან პირობით „დამოუკიდებელ დეპუტატთა ჯგუფს“ და განცხადებაში, მი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

უხედავად მათი პარტიულობისა, უნდა ჩაწერონ: „დამოუკიდებელი“. ეს მონაცემები განაპირობებენ პარტიული ინდექსის დეპუტატთათვის მიკუთვნებას.

პარტიული ინდექსი განისაზღვრება იმისდა მიხედვით, თუ რამდენი წევრი ჰყავს უზენაეს საბჭოს ამა თუ იმ პარტიას ან დამოუკიდებელ დეპუტატთა ჯგუფს. პარტიული ინდექსით № 1 პარტია ან დამოუკიდებელ დეპუტატთა ჯგუფი ის იქნება, რომელიც ყველაზე მეტ მანდატს ფლობს; № 2 — ვინც სხვა დანარჩენზე მეტ მანდატს ფლობს და ა. შ.

სამდივნოში შესული განცხადებები დაიწყობა ცალ-ცალკე პარტიული ინდექსის შესაბამისად და თითოეული პარტიული ინდექსის მიხედვით თანამიმდევრულად ინომრება. ასე რომ კამათში გამომსვლელთაგან პირველი იქნება ის დეპუტატი, რომელსაც კამათის დაწყების მომენტისათვის სამდივნოში პირველს ექნება შეტანილი განცხადება და ამავე დროს მისი პარტიული ინდექსი აღმოჩნდება ყველაზე მაღალი. შემდეგ გამოვა მომდევნო პარტიული ინდექსის მქონე დეპუტატი — № 1 განცხადების ავტორი და ა. შ. მას შემდეგ, რაც სიტყვით გამოვა ყველაზე დაბალი პარტიული ინდექსის მქონე დეპუტატი, კამათი გაგრძელდება იმავე წესით.

ერთსა და იმავე დეპუტატს ერთი და იგივე საკითხის განხილვისას მეორედ გამოსვლა შეუძლია მხოლოდ სხდომის გადაწყვეტილებით.

მუხლი 7. საქართველოს კანონთა პროექტები და სახელმწიფო, სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის სხვა საკითხები საქართველოს უზენაესი საბჭოს განსახილველად შეაქვთ იმ ორგანოებს, ორგანიზაციებსა და პირებს, რომლებსაც საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად აქვთ საკანონმდებლო ინიციატივის უფლება.

მუხლი 8. საქართველოს უზენაესი საბჭოს განსახილველად შეტანილი კანონების, დადგენილებებისა და სხვა აქტების პროექტებს საჭირო დასაბუთებით წარადგენენ საქართველოს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმში, ხოლო სესიების დროს წარუდგენენ ავტორეფერენტ საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს.

მუხლი 9. საქართველოს უზენაესი საბჭოს განსახილველად კანონპროექტის ან სხვა საკითხის შემტანი ორგანო ან ორგანიზაცია ნიშნავს მომხსენებელს. საქართველოს უზენაესი საბჭოს მუდმივ და სხვა კომისიებს შეუძლიათ გამოყონ თანამომხსენებლები იმ საკითხებზე, რომლებსაც სესია განიხილავს. მომხსენებლებისა და თანამომხსენებლების შესახებ აცნობებენ საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს.

მუხლი 10. კანონის პროექტის ან სხვა საკითხის განხილვის წესს განსაზღვრავს საქართველოს უზენაესი საბჭო. კანონპროექტის ხასიათიდან გამომდინარე საქართველოს უზენაეს საბჭოს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება კანონის პროექტის ჯერ საერთო, შემდეგ კი მუხლების მიხედვით განხილვის თაობაზე. მუხლების მიხედვით განხილვა ეწყობა მას შემდეგ, რაც მიიღებენ გადაწყვეტილებას კანონპროექტის ძირითად დებულებათა მოწონების შესახებ, თუ არ იქნა მიღებული სხვა წინადადება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლი 11. შესწორებები კანონის ან სხვა აქტის პროექტის თაობაზე დეპუტატს შეაქვს წერილობით. შესწორებებს სხდომის თავმჯდომარე აცნობებს სხდომას. დეპუტატის თხოვნით მას ეძლევა სიტყვა შეტანილი შესწორების დასასაბუთებლად.

კანონებისა და სხვა აქტების პროექტთა შესწორებებს კენჭს უყრიან. საქართველოს უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილებით შესწორებები შეიძლება გადასცენ შესაბამის კომისიებს ამ შესწორებათა გამო წინადადების მოსამზადებლად. კომისიათა წინადადებებს კენჭს უყრიან საქართველოს უზენაეს საბჭოში. დეპუტატის მოთხოვნით მის მიერ შეტანილ შესწორებებსაც, რომლებიც წინასწარ განიხილეს შესაბამის კომისიებში, კენჭი უნდა უყაროს.

მუხლი 12. ფარული კენჭისყრის წესი

ფარული კენჭისყრის ჩატარებისა და მისი შედეგების განსაზღვრისათვის საქართველოს უზენაესი საბჭო ღია კენჭისყრით თავის წევრთაგან ირჩევს ხმის დამთვლელ კომისიას.

ხმის დამთვლელი კომისიის წევრთა რაოდენობას განსაზღვრავს უზენაესი საბჭო.

ხმის დამთვლელი კომისიის წევრებად არ შეიძლება დასახელებულ იქნეს დეპუტატები, რომლებიც არიან ასარჩევი ორგანოების წევრობის კანდიდატები.

ხმის დამთვლელი კომისია თავის წევრთაგან ირჩევს თავმჯდომარეს და მდივანს.

ხმის დამთვლელი კომისიის გადაწყვეტილება მიიღება კომისიის წევრთა ხმების უმრავლესობით.

საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის არჩევნებისა და ყველა იმ საკითხის კენჭისყრის ბიულეტენები, რომლებიც უნდა გადაწყდეს ფარული კენჭისყრით, მზადდება ხმის დამთვლელი კომისიის მიერ მის მიერვე დადგენილი ფორმით, თანამდებობის პირთა ან საქართველოს უზენაესი საბჭოს მიერ ასარჩევი ორგანოების შემადგენლობისათვის ფარული კენჭისყრის ბიულეტენებში შეიტანება ყველა წარდგენილი კანდიდატის გვარი, სახელი და მამის სახელი ანბანის მიხედვით.

კანდიდატთა სიას ხმის დამთვლელ კომისიას გადასცემს სხდომის თავმჯდომარე.

კენჭისყრის დროსა და ადგილს, აგრეთვე მისი ორგანიზების წესს, ადგენს ხმის დამთვლელი კომისია, რის შესახებაც აცნობებს ყველა დეპუტატს.

კენჭისყრის დაწყების წინ ხმის დამთვლელი კომისია:

ა) სამანდატო კომისიისაგან იღებს ყველა იმ დეპუტატის სიას, რომელთა უფლებამოსილებაც უზენაესი საბჭოს მიერ დადასტურებულია;

ბ) ახდენს ფარული კენჭისყრის ბიულეტენების დამზადების ორგანიზებას;

გ) ამოწმებს ფარული კენჭისყრის კაბინებს;

დ) ლუქავს ფარული კენჭისყრის ურნებს და ქმნის ხმის მიცემის სრული საიდუმლოების დაცვის ყველა პირობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანამდებობის პირების არჩევითი ორგანოს არჩევისას ან სხვა საკითხის განხილვისას, რომელსაც წყვეტს უზენაესი საბჭო, ყველა დეპუტატს ეძლევა თითო ბიულეტენი.

ფარული კენჭისყრისათვის ბიულეტენებს დეპუტატებს ურიგებენ ხმის დამთვლელი კომისიის წევრები. დეპუტატთა სიის მიხედვით მათ მიერ საქართველოს უზენაესი საბჭოს წევრის მოწმობის წარდგენის შემდეგ.

ბიულეტენების გაცემის შემდეგ დეპუტატთა სიაში კეთდება აღნიშვნა მათი გაცემის შესახებ.

ბიულეტენების შიესება ხდება ფარული კენჭისყრის კაბინაში.

საქართველოს უზენაესი საბჭოს მიერ თანამდებობის პირის არჩევისას დეპუტატი ფარული კენჭისყრის ბიულეტენში ტოვებს არა უმეტეს ერთ კანდიდატს. საქართველოს უზენაესი საბჭოს მიერ შესაბამისი ორგანოების არჩევისას ფარული კენჭისყრის ბიულეტენში დეპუტატი ტოვებს იმ კანდიდატების გვარებს, რომლებსაც აძლევს ხმას და გადახაზავს იმ კანდიდატების გვარებს, რომლებსაც არ აძლევს ხმას.

შევსებული ბიულეტენები იყრება ფარული კენჭისყრის ყუთში.

კენჭისყრის დამთავრების შემდეგ ხმის დამთვლელი კომისია ხსნის ფარული კენჭისყრის ყუთს და ითვლის ხმებს.

ბათილად ითვლება დაუდგენელი ნიმუშის ბიულეტენები, ხოლო თანამდებობის პირების არჩევისას — ბიულეტენები, რომლებშიც დატოვებულია ორი ან მეტი კანდიდატის გვარი.

ბიულეტენებზე მიწერილი გვარები ხმის დათვლისას არ ითვლება.

არჩეულ თანამდებობის პირად ითვლება კანდიდატი, რომელიც უზენაესი საბჭოს დეპუტატთა საერთო რაოდენობიდან დააგროვებს ხმების ნახევარზე მეტს.

იმ შემთხვევაში, თუ ასარჩევ ორგანოში არჩეულ პირთა რაოდენობა დადგენილზე ნაკლები აღმოჩნდა, საქართველოს უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილებით ტარდება იმ კანდიდატთა ხელმეორე არჩევნები, რომლებიც საჭირონი არიან არჩევითი ორგანოს ფორმირებისათვის. თუ კენჭისყრის შედეგად ცალკეული კანდიდატები დააგროვებენ ხმათა თანაბარ რაოდენობას და ეს არ იძლევა შესაძლებლობას დადგენილ იქნეს არჩეული პირი, საქართველოს უზენაესი საბჭოს მიერ ინიშნება ამ კანდიდატთა ხელმეორე არჩევნები.

ფარული კენჭისყრის შედეგების მიხედვით ხმის დამთვლელი კომისია ადგენს ოქმებს, რომლებსაც ხელს აწერს კომისიის ყველა წევრი.

კენჭისყრის შედეგებს საქართველოს უზენაესი საბჭო ამტკიცებს ღია კენჭისყრით. თანამდებობის პირთა ან საქართველოს უზენაესი საბჭოს ორგანოთა არჩევისას ხმის დამთვლელი კომისია უზენაეს საბჭოს მოახსენებს არჩევნების შედეგებს ყველა კანდიდატურაზე ცალ-ცალკე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს უზენაესი საბჭოს დადგენილება

286 საქართველოს უზენაესი საბჭოს სამდივნოს არჩევის შესახებ

საქართველოს უზენაესი საბჭო **ადგენს:**

1. საქართველოს უზენაესი საბჭოს სამდივნო განისაზღვროს 9 კაცის რაოდენობით.

2. სამდივნოს შემადგენლობაში არჩეულ იქნენ შემდეგი დეპუტატები:

ალექსანდრე გიორგის ძე **ქობულაშვილი**
ეთერ გრიგოლის ასული **ყაველაშვილი**
მანანა ვალერიანის ასული **გაბაშვილი**
თემურ არჩილის ძე **ჯანელიძე**
ლევარდ ვასილის ძე **ტუხაშვილი**
ფოტი სამსონის ძე **ჩიტლოვი**
ნუგზარ გრიგოლის ძე **მამალაძე**
მერაბ დავითის ძე **ბალარჯიშვილი**
ბეჟან გოგიტას ძე **აბესაძე.**

საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია.

თბილისი, 1990 წლის 14 ნოემბერი.
№ 3—I ს.

საქართველოს უზენაესი საბჭოს დადგენილება

287 საქართველოს უზენაესი საბჭოს სარედაქციო კომისიის არჩევის შესახებ

საქართველოს უზენაესი საბჭო **ადგენს:**

1. საქართველოს უზენაესი საბჭოს სარედაქციო კომისია განისაზღვროს 7 კაცის რაოდენობით.

2. კომისიის შემადგენლობაში არჩეულ იქნენ შემდეგი დეპუტატები:

ამირან სერგოს ძე **კალაძე**
ნუგზარ პეტრეს ძე **მგალობლიშვილი**
გურამ მელენტის ძე **პეტრიაშვილი**
ნოდარ ალექსანდრეს ძე **წულეისკირი**
თეოდორე გიორგის ძე ნინიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალექსანდრე ირაკლის ძე **კავსაძე**
მინდია გურამის ძე **უგრეხელიძე**

საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია.

თბილისი, 1990 წლის 14 ნოემბერი.
№ 4—I ს.

საქართველოს უზენაესი საბჭოს დადგენილება

288 საქართველოს უზენაესი საბჭოს სამანდატო კომისიის არჩევის შესახებ

საქართველოს უზენაესი საბჭო **ადგენს:**

1. საქართველოს უზენაესი საბჭოს სამანდატო კომისია განისაზღვროს 11 კაცის რაოდენობით.

2. სამანდატო კომისიის შემადგენლობაში არჩეულ იქნენ შემდეგი დეპუტატები:

ბიძინა შოთას ძე **დანგაძე**
გია გოდერძის ძე **ფირცხალაიშვილი**
ავთანდილ დიმიტრის ძე **პოპიაშვილი**
დიმიტრი გიორგის ძე **ქებურია**
ანრი ილიას ძე **ყრუაშვილი**
ოლევაზ ამირანის ძე **კემულარია**
სერგო ტარასის ძე **რიგვავა**
მინდია ევგენის ძე **სალუქვაძე**
ტრისტან სოლომონის ძე **ხანიშვილი**
ლია გიორგის ასული **კაცაძე**
ბეჟან ბიძინას ძე **გონაშვილი.**

საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია.

თბილისი, 1990 წლის 14 ნოემბერი.
№ 5—I ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს უზენაესი საბჭოს დადგენილება

289 სამანდატო კომისიის მოხსენების გამო

განიხილა რა სამანდატო კომისიის წარდგინება, საქართველოს უზენაესი საბჭო საქართველოს სსრ კონსტიტუციის 107-ე მუხლის შესაბამისად **ადგენს:**

ცნობილ იქნეს 1990 წლის 28 ოქტომბერსა და 11 ნოემბერს 125 საარჩევნო ოლქში პროპორციული და მაჟორიტარული სისტემით არჩეული საქართველოს უზენაესი საბჭოს 246 დეპუტატის უფლებამოსილება.

საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია.

თბილისი, 1990 წლის 14 ნოემბერი.
№ 6—I ს.

საქართველოს უზენაესი საბჭოს დადგენილება

290 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განცხადების შესახებ

საქართველოს უზენაესი საბჭო **ადგენს:**

1. მიღებულ იქნეს ცნობად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განცხადება ახლად არჩეული საქართველოს უზენაესი საბჭოს წინაშე თავისი უფლებამოსილების მოხსნის თაობაზე.

2. დაეკალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განაგრძოს თავის მოვალეობათა შესრულება საქართველოს უზენაესი საბჭოს მიერ საქართველოს ახალ მინისტრთა საბჭოს შექმნამდე.

საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია.

თბილისი, 1990 წლის 14 ნოემბერი.
№ 7—I ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს უზენაესი საბჭოს დადგენილება

291 საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის არჩევის შესახებ

საქართველოს უზენაესი საბჭო **ადგენს:**

არჩეულ იქნეს საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ დეპუტატი ზვიად კონსტანტინეს ძე **გამსახურდია.**

საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია.

თბილისი, 1990 წლის 14 ნოემბერი.
№ 8—I ს.

საქართველოს კანონი

292 საქართველოს სსრ სახელწოდების შეცვლის შესახებ

საქართველოს უზენაესი საბჭო **ადგენს:**

1. საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას ეწოდოს საქართველოს რესპუბლიკა.

2. შეტანილ იქნეს შესაბამისი ცვლილებები საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში (ძირითად კანონში).

3. კანონი ძალაშია მიღებისთანავე.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია.

თბილისი, 1990 წლის 14 ნოემბერი.
№ 9—I ს.

საქართველოს რესპუბლიკის კანონი

293 საქართველოს რესპუბლიკაში გარდამავალი პერიოდის გამოცხადების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **აცხადებს** რა საქართველოს რესპუბლიკაში გარდამავალ პერიოდს, რომლის განმავლობაშიც უნდა მომზადდეს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის საფუძვლები, **ადგენს:**

შეტანილ იქნეს **საქართველოს სსრ** კონსტიტუციაში (ძირითად კანონში)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შემდეგი ცვლილებანი:

I.1. პრეამბულა ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

საქართველოს სახელმწიფოებრიობა, რომელიც საუკუნეთა სიღრმეში ღებს სათავეს, XIX საუკუნის დასაწყისში დაკარგულ იქნა უცხო ძალის ჩარევის შედეგად.

ქართველი ხალხი არასოდეს შეჰგუებია სახელმწიფოებრიობის დაკარგვას. 1917 წლის თებერვალში დაემხო რუსეთის იმპერია, რამაც ქართველ ხალხს შესაძლებლობა მისცა 1918 წლის 26 მაისს დამოუკიდებლობის აქტის გამოცხადებით აღედგინა საუკუნეზე მეტი ხნის წინ რუსეთის თვითმპყრობელობის მიერ გაუქმებული სახელმწიფოებრიობა.

ქართველმა ერმა თავისი პოლიტიკური ნება განახორციელა 1919 წლის 12 მარტს, როდესაც დამფუძნებელი კრების პირველ სხდომაზე ქვეყნისა და ისტორიის წინაშე აღიარა და დაადასტურა ადრე მიღებული დამოუკიდებლობის აქტი, შემდეგ კი 1921 წლის 21 თებერვალს მიიღო საქართველოს კონსტიტუცია.

1921 წლის თებერვალ-მარტში საბჭოთა რუსეთმა, უხეშად დაარღვია 1920 წლის 7 მაისის სამშვიდობო ხელშეკრულება და შეიარაღებული აგრესიის გზით მოახდინა საქართველოს ოკუპაცია, რასაც შემდგომში მოჰყვა მისი ფაქტობრივი ანექსია.

საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში საქართველოს იძულებითი ყოფნის მთელი პერიოდი აღინიშნა სისხლიანი ტერორითა და რეპრესიებით (განსაკუთრებით 1924, 1936-38, 1949-51, 1956 წწ.), რისი უკანასკნელი გამოვლინებაც იყო 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედია. ამ მოვლენამ თვისებრივად ახალ ეტაპზე აიყვანა საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეტაპი დასრულდა 1990 წლის 28 ოქტომბერს, როდესაც საქართველოს უზენაესი საბჭოს მრავალპარტიულ, დემოკრატიულ არჩევნებში გაიმარჯვეს ეროვნულმა ძალებმა. ამით დაიწყო ახალი ხანა, რომელიც უნდა დაგვირგვინდეს საქართველოს სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენით.

ახალი კონსტიტუციის შემუშავებამდე საქართველოს არსებული კონსტიტუცია სათანადო ცვლილებებითა და დამატებებით იმოქმედებს გარდამავალი პერიოდის მოთხოვნათა შესაბამისად როგორც საქართველოს რესპუბლიკის დროებითი ძირითადი კანონი.

გარდამავალი პერიოდი არის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის უმნიშვნელოვანესი ეტაპი, რომლის განმავლობაშიც უნდა მომზადდეს საქართველოს სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის რეალური საფუძვლები.

2. კონსტიტუციის დასახელებასა და ტექსტში სიტყვები „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა“, „საქართველოს სს რესპუბლიკა“, „საქართველოს სსრ“ შესაბამისად შეიცვალოს სიტყვებით „საქართველოს რესპუბლიკა“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. მე-4 თავის დასახელებასა და პირველი, მე-4, მე-60, 64-ე მუხლებიდან ამოღებულ იქნეს სიტყვა „სოციალისტური“, ხოლო 37-ე, 48-ე და 59-ე მუხლებში შეიცვალოს სიტყვით „სახელმწიფო“.

4. მე-4. 35-ე, 37-ე, 57-ე, მე-60 მუხლებიდან ამოღებულ იქნეს სიტყვა „საბჭოთა“.

5. მე-4, 35-ე, 37-ე, 57-ე მუხლებიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „სსრ კავშირის კონსტიტუცია“.

6. ა) მე-6 მუხლიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „კომუნისტური პარტია, სხვა“,

ბ) 25-ე მუხლიდან „ემსახურება ახალგაზრდობის კომუნისტურ აღზრდას“,

გ) 36-ე მუხლიდან „რევოლუციურ თუ“,

დ) 45-ე მუხლიდან „კომუნისტური მშენებლობის მიზნების შესაბამისად“,

ე) 57-ე მუხლიდან „პატივს სცემდეს სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებს, ღირსეულად ატარებდეს საბჭოთა მოქალაქის მაღალ წოდებას“,

ვ) 62-ე მუხლიდან „საბჭოთა მრავალეროვან სახელმწიფოს“.

7. კონსტიტუციის

ა) მე-7 თავის დასახელება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„საქართველოს რესპუბლიკის მდგომარეობა სსრ კავშირის შემადგენლობაში“.

ბ) 68-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„საქართველოს რესპუბლიკა არის სუვერენული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მემკვიდრე სახელმწიფო. იგი ძალადობით არის შეყვანილი სსრ კავშირის შემადგენლობაში. ამ რეალობიდან გამომდინარე, საქართველოს რესპუბლიკა მხოლოდ გარდამავალი პერიოდის განმავლობაში იძულებულია უზრუნველყოს სსრ კავშირისათვის მისი სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი ორგანოების სახით უფლებები, რომლებიც განსაზღვრულია სსრ კავშირის კონსტიტუციის 73-ე მუხლით, გარდა ამ მუხლის მე-3, მე-4 და მე-11 პუნქტებით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებისა.

ზემოთ აღნიშნულ ფარგლებს გარეთ საქართველოს რესპუბლიკა დამოუკიდებლად ახორციელებს სახელმწიფო ხელისუფლებას თავის ტერიტორიაზე“.

გ) 77-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედებს საქართველოს რესპუბლიკის და სსრ კავშირის კანონები და კანონქვემდებარე აქტები. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო აჩერებს სსრ კავშირის კანონებისა და კანონქვემდებარე აქტების მოქმედებას საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე, თუ ისინი ეწინააღმდეგება საქართველოს რესპუბლიკის კანონებს და ინტერესებს.

საქართველოს რესპუბლიკის კანონისაგან სსრ კავშირის კანონის განსხვავების შემთხვევაში საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედებს საქართველოს რესპუბლიკის კანონი“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) 180-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„საქართველოს სახელმწიფო გერბი არის ეროვნული ორნამენტიანი შვიდქიმიანი ვარსკვლავი, ვარსკვლავის ოქროსფერ ჩუქურთმას აქვს შავი არშია. ქიმების შიდა ველი ქართული წითელი ფერისაა (შინდისფერია).

ვარსკვლავის გულზე მოთავსებულია მრგვალი ქართული ფარი, ქართული წითელი ფერის (შინდისფერი) ველით, რომელზედაც გამოსახულია ოქროსფლოქვებიან თეთრ ცხენზე ამხედრებული თეთრი გიორგი. მას მარჯვენა ხელში უპყრია საბრძოლო შემართული ვერცხლისპირიანი ოქროს შუბი, ხოლო მარცხენაში — ოქროსზოლიანი ფარი.

თეთრ გიორგის აცვია ალისფერი შარვალი და ოქროსფერი წაღები. შემოსილია ვერცხლისფერუჯრედებიანი ცისფერი ჯავშნითა და თეთრი მოსასხამით. ჯავშნის ქვემოთ მოუჩანს ყავისფერი (მიხაკისფერი) ტყავის პერანგი.

თეთრი გიორგის ცხენს უნაგირის ქვეშ დაფენილი აქვს ვეფხვის ტყავი. უნაგირი ოქროსია, ხოლო უზანგი — ვერცხლისა.

თეთრი გიორგის თავს ზემოთ რვაქიმიანი ვერცხლისფერი ვარსკვლავია. ვარსკვლავის მარჯვნივ არის ვერცხლისფერი მთვარე, ხოლო მარცხნივ ოქროსფერი მზე. მთვარისა და მზის გასწვრივ ორ-ორი რვაქიმიანი ვერცხლისფერი ვარსკვლავია.

თეთრი გიორგის ცხენს ქვემოთ შავი ფერით გამოსახულია მთის მწვერვალი“.

ე) 181-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„საქართველოს ეროვნული და სახელმწიფო დროშა არის მართკუთხედის ფორმის ქართული წითელი ფერის (შინდისფერი) ქსოვილი, რომელსაც ტარის მსარეს, ზედა კუთხეში, აქვს შავი (ზემოთ) და თეთრი (ქვემოთ) ზოლები.

დროშის სიგანის შეფარდება სიგრძესთან არის 3:5, თითოეული ზოლის (შავისა და თეთრის) სიგანე არის დროშის სიგანის 1/5, ხოლო სიგრძე — დროშის სიგრძის 2/5“.

ვ) 182-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნს ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო“,

8. კონსტიტუციიდან ამოღებულ იქნეს მე-3, მე-9, მე-14, მე-15, მე-16, მე-20, 23-ე, 29-ე, 30-ე და 61-ე მუხლები მთლიანად, ხოლო მე-8 და 34-ე მუხლებიდან — მეორე ნაწილები, აგრეთვე 58-ე მუხლის მეორე წინადადება.

9. საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის 28-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 28.

საქართველოს რესპუბლიკა საგარეო-პოლიტიკურ საქმიანობაში ხელმძღვანელობს საერთაშორისო სამართლის პრინციპებითა და საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკაში ომის პროპაგანდა აკრძალულია“.

II. ეს კანონი ძალაშია მიღებისთანავე.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია.

თბილისი, 1990 წლის 14 ნოემბერი.
№ 10—I ს.

საქართველოს რესპუბლიკის კანონი

294 საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო გერბის შესახებ

საქართველოს კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 180-ე მუხლის შესაბამისად საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

1. დამტკიცდეს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო გერბის გამოსახულება (თან ერთვის).

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო გერბის შესახებ“ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1978 წლის 24 აპრილის ბრძანებულება (საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს უწყებები, 1978 წ., № 4, მუხ. 68).

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია.

თბილისი, 1990 წლის 14 ნოემბერი.
№ 11—I ს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის
სახელმწიფო გერბი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის კანონი

295 საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო დროშის შესახებ

საქართველოს კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 181-ე მუხლის შესაბამისად საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო დროშის გამოსახულება (თან ერთვის).

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1951 წლის 11 აპრილის გრძანებულება „საქართველოს სსრ სახელმწიფო დროშის შესახებ" (საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს უწყებები, 1951 წ., № 2, მუხ. 21).

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია.

თბილისი, 1990 წლის 14 ნოემბერი.
№ 12—I ს.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო დროშა

წინა პირი
(შავ-თეთრი გამოსახულება)



უკანა პირი
(შავ-თეთრი გამოსახულება)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო დროშის სქემატური გამოსახულება



ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის კანონი

296 საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნის შესახებ

საქართველოს კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 182-ე მუხლის შესაბამისად საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

1. დამტკიცდეს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნის ტექსტი და მუსიკალური რედაქცია (თან ერთვის).

2. ამ კანონით დამტკიცებული საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნის შესრულება მთელს რესპუბლიკაში შემოღებულ იქნეს 1990 წლის 15 ნოემბრიდან.

3. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნის ტექსტი და მუსიკის ნოტები გამოქვეყნდეს.

4. ძალადაკარგულად ჩაითვალოს „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნის შესახებ“ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1978 წლის 14 აპრილის ბრძანებულება (საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს უწყებები, 1978 წ., № 4, მუხ. 69).

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია.

თბილისი, 1990 წლის 14 ნოემბერი.
№ 13—I ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნი „დიდება“

ტექსტი და მუსიკა კ. ფოცხვერაშვილისა

დიდება ზეცით კურთხეულს,
დიდება ქვეყნად სამოთხეს,
ტურფა ივერსა,
დიდება ძმობას, ერთობას,
დიდება თავისუფლებას,
დიდება სამარადისო
ქართველ მხნე ერსა!

დიდება ჩვენსა სამშობლოს,
დიდება ჩვენი სიცოცხლის
მიზანს დიადსა;
ვაშა ტრფობასა, სიყვარულს,
ვაშა შვებასა, სიხარულს,
სალამი ჭეშმარიტების
შუქ განთიადსა!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლიდეგა

ზარმაცი ეროვნული ჯიში

სიტყვები ფა ვესიკა-კოტე ფოცხაკერაშვილის

ქეთევან. მეანდი
ან ფოკატეანინო



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება

297 საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის არჩევის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

არჩეულ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ დეპუტატი აკაკი თორნიკეს ძე **ასათიანი.**

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია.

თბილისი, 1990 წლის 15 ნოემბერი.
№ 13ა—I ს.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება

298 საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის არჩევის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

არჩეულ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ დეპუტატი ნემო პიერის ძე **ბურჭულაძე.**

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია.

თბილისი, 1990 წლის 15 ნოემბერი.
№ 14—I ს.

საქართველოს რესპუბლიკის კანონი

299 საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობის შემოღების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი **საბჭო ადგენს:**

I. შემოღებულ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობა.

ამასთან დაკავშირებით შეტანილ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში (ძირითად კანონში) შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. 104-ე მუხლის მე-17 პუნქტში სიტყვები „პირველ მოადგილეს“ შეიცვალოს სიტყვებით „პირველ მოადგილესა და მოადგილეს“;

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. 112-ე მუხლის მეორე ნაწილში სიტყვების „საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე“ შემდეგ დავმატოს სიტყვები: „საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე“;

115-ე მუხლის მე-2 პუნქტში სიტყვები „პირველი მოადგილის თანამდებობაზე ასარჩევ კანდიდატურას“ შეიცვალოს სიტყვებით „პირველი მოადგილისა და მოადგილის თანამდებობაზე ასარჩევ კანდიდატურებს“;

II. ეს კანონი ძალაში შედის მიღებისთანავე.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია.

თბილისი, 1990 წლის 15 ნოემბერი.
№ 15—I ს.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება

300 საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის დანიშვნის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

1. დანიშნოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ თენგიზ იპოლიტეს ძე **სიგუა.**

2. დავალოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს წარუდგინოს წინადადებანი საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს სტრუქტურისა და პერსონალური შემადგენლობის შესახებ.

3. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს შესაბამისმა მუდმივმა კომისიებმა საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს წარუდგინონ დასკვნები საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურისა და პერსონალური შემადგენლობის შესახებ.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია.

თბილისი, 1990 წლის 15 ნოემბერი.
№ 16—I ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება

301 საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მუდმივი კომისიების შექმნის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

შეიქმნას საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს შემდეგი მუდმივი კომისიები:

კანონმდებლობისა და კანონიერების დაცვის კომისია;

საფინანსო-საბიუჯეტო კომისია;

ეკონომიკური რეფორმის კომისია;

ჰუმანიტარულ და სოციალურ საკითხთა კომისია;

მრეწველობის, ენერგეტიკის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის კომისია;

სოფლის მეურნეობის, მიწათსარგებლობისა და ეკოლოგიის კომისია;

საგარეო ურთიერთობათა კომისია;

თავდაცვის, ეროვნული უშიშროებისა და მართლწესრიგის კომისია;

კულტურის, განათლებისა და მეცნიერების კომისია.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია.

თბილისი, 1990 წლის 15 ნოემბერი.
№ 17—I ს.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება

302 საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მუდმივი კომისიების თავმჯდომარეთა არჩევის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

არჩეულ იქნენ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მუდმივი კომისიების თავმჯდომარეებად დეპუტატები:

კანონმდებლობისა და კანონიერების დაცვის კომისიისა — ნუგზარ არჩილის ძე **მოლოდინაშვილი.**

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიისა — ტარიელ ამირანის ძე **გელანტია.**

ეკონომიკური რეფორმის კომისიისა — გივი ჩიტოს ძე **თაქთაქიშვილი.**

ჰუმანიტარულ და სოციალურ საკითხთა კომისიისა — რობერტ მელენტის ძე **პეტრიაშვილი.**

მრეწველობის, ენერგეტიკის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის კომისიისა — ბაკურ დავითის ძე **გულუა.**

სოფლის მეურნეობის, მიწათსარგებლობისა და ეკოლოგიის კომისიისა — ირაკლი ოთარის ძე **ჩხეიძე.**

საგარეო ურთიერთობათა კომისიისა — **თედო შალვას ძე პაატაშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავდაცვის, ეროვნული უშიშროებისა და მართლწესრიგის კომისიისა — ვაჟა გიორგის ძე **ადამია.**

კულტურის, განათლებისა და მეცნიერების კომისიისა — თეიმურაზ აკაკის ძე **ქორიძე.**

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია.

თბილისი, 1990 წლის 15 ნოემბერი.
№ 18—I ს.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება

303 ადამიანის უფლებათა დაცვისა და მართლწესრიგის განმტკიცების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკაში დამნაშავეობამ საგანგაშო მასშტაბები მიიღო. მკვეთრად იმატა მკვლელობის, ყაჩაღობის, ძარცვის, პიროვნების წინააღმდეგ მიმართულ სხვა დანაშაულობათა რაოდენობამ, მათ შორის ორგანიზებულ დანაშაულობათა შემთხვევებმა. უხეშად ირღვევა საზოგადოებრივი წესრიგი, შექმნილია დაუსჯელობის ატმოსფერო. მოშლილია სახელმწიფო დისციპლინა. არსებული ეკონომიკური სიძნელეების პირობებში, უკონტროლობისა და განუკითხაობის ვითარებაში გაზრდა ანგარების მიზნით თანამდებობის ბოროტად გამოყენების ფაქტები.

ყოველივე ეს სერიოზულ საფრთხეს უქმნის ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და სამოქალაქო მშვიდობას. რესპუბლიკაში ასეთი მორალურ-სამართლებრივი ვითარება მით უფრო მოუთმენელია, როცა დღის წესრიგში რეალურად დგას საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის, დემოკრატიული, სამართლებრივი სახელმწიფოს ფორმირების ამოცანა.

სერიოზული ხარვეზებია სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობაში, რაც მნიშვნელოვანწილად განპირობებულია თვით ამ ორგანოების სისტემის არასრულყოფილებითა და პარტიული დიქტატისადმი მათი დაქვემდებარებით.

დამნაშავეობის წინააღმდეგ გადამჭრელი ზომების მიღების, ადამიანის უფლებათა დაცვისა და მართლწესრიგის განმტკიცების მიზნით საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

1. პოლიტიკური პლურალიზმის პირობებში რესპუბლიკის სასამართლო, არბიტრაჟის, პროკურატურის, შინაგან საქმეთა, სახელმწიფო უშიშროების, იუსტიციის ორგანოებში მიზანშეუწონლად იქნეს მიჩნეული პარტიული ორგანიზაციების შექმნა და ფუნქციონირება. ამასთანავე, ამ ორგანოებში არჩეული თუ დანიშნული თანამდებობის პირები იმავდროულად არ შეიძლება იყვნენ რომელიმე **პოლიტიკური პარტიის წევრები.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. რესპუბლიკის სამართალდამცავმა ორგანოებმა მიიღონ კანონით გათვალისწინებული ყველა ზომა დანაშაულობათა აღკვეთის, მართლწესრიგის განმტკიცებისა და ადამიანის უფლებათა დაცვისათვის.

3. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან შეიქმნას მართლწესრიგის განმტკიცებისა და დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლის სპეციალური შინაგანი ჯარის დანაყოფები, რომლებიც ძირითადად დაკომპლექტდება საბალდებულო სამხედრო სამსახურში გასაწვევი მოქალაქეებით.

4. საქართველოს ახლად შექმნილმა მინისტრთა საბჭომ გადაწყვიტოს მართლწესრიგის განმტკიცებისა და დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლის სპეციალური დანაყოფების ორგანიზაციული, მატერიალური და ფინანსური უზრუნველყოფის საკითხები.

5. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს შესაბამისმა კომისიებმა მომზადონ და საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს წარუდგინონ:

ა) წინადადებანი რესპუბლიკის სამართალდამცავი ორგანოების სისტემის რეფორმის თაობაზე;

ბ) წინადადებანი მოქმედ კანონმდებლობაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის, აგრეთვე ამნისტიის აქტის მიღების თაობაზე;

გ) კანონპროექტი მართლწესრიგის განმტკიცებისა და დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლის სპეციალური დანაყოფების სამართლებრივი სტატუსის შესახებ.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია.

თბილისი, 1990 წლის 15 ნოემბერი.
№ 19—I ს.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება

304 საქართველოს რესპუბლიკის კანონებისა და უზენაესი საბჭოს დადგენილებების პროექტების შემუშავების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

დაეგალოთ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მუდმივ კომისიებს შეიმუშაონ საქართველოს რესპუბლიკის შემდეგი კანონებისა და უზენაესი საბჭოს დადგენილებების პროექტები და წარმოუდგინონ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პირველ სესიას:

I. საქართველოს რესპუბლიკის კანონების პროექტები:

1) უზენაესი საბჭოს წევრის სტატუსის შესახებ;
2) უზენაესი საბჭოდან დეპუტატთა გაწვევის წესის შესახებ;
3) უზენაესი საბჭოს რეგლამენტის შესახებ;
4) დებულება უზენაესი საბჭოს მუდმივი კომისიების შესახებ;

ეროვნული ბიბლიოთეკა

5) სამართალდამცავი ორგანოების შესახებ (პაკეტი);

6) საქართველოს რესპუბლიკის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის შესახებ;

7) ადგილობრივი თვითმმართველობის ფორმების შესახებ;

8) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების შესახებ;

9) მინისტრთა საბჭოს შესახებ;

10) საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობის შესახებ;

11) იმიგრაციის შესახებ;

12) პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოებრივი გაერთიანებების შესახებ;

13) მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა შესახებ;

14) მიწის შესახებ;

15) საკუთრების შესახებ;

16) საქართველოს რესპუბლიკის კანონების გამოქვეყნებისა და სამოქმედოდ შემოღების წესის შესახებ.

II. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილების პროექტი:

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრთა საქმიანობის უზრუნველყოფის დებულების შესახებ.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია.

თბილისი, 1990 წლის 15 ნოემბერი.
№ 20—I ს.

საქართველოს რესპუბლიკის კანონი

305 საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში (ძირითად კანონში) ცვლილებების შეტანის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში (ძირითად კანონში) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. 104-ე მუხლის მე-19 პუნქტს დაემატოს სიტყვები: „ნიშნავს საქართველოს რესპუბლიკის გენერალურ პროკურორს“.

2. 115-ე მუხლის მე-3 პუნქტში სიტყვის „არბიტრის“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორის“.

3. 176-ე მუხლში:

სიტყვები „სსრ კავშირის გენერალური პროკურორისა და მას დაქვემდებარებული საქართველოს სსრ პროკურორისა და ქვემდგომი პროკურორების

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიერ“ შეიცვალოს სიტყვებით „საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორისა და მას დაქვემდებარებული პროკურორების მიერ“.

4. 177-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს რესპუბლიკაში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის პროკურორებს ნიშნავს საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორი ავტონომიური რესპუბლიკების უზენაესი საბჭოებისა და ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს წარდგინებით.

რაიონულ და საქალაქო პროკურორებს ნიშნავს საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორი“.

5. 178-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორისა და ყველა ქვემდგომი პროკურორის უფლებამოსილების ვადა ხუთი წელია“.

6. 179-ე მუხლში სიტყვები „სსრ კავშირის“ შეიცვალოს სიტყვებით „საქართველოს რესპუბლიკის“.

კანონი ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია.

თბილისი, 1990 წლის 15 ნოემბერი.
№ 21—I ს.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება

306 საქართველოს რესპუბლიკის ახალი კონსტიტუციის პროექტის მოსამზადებელი კომისიის შექმნის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატებისა და მოწვეული სპეციალისტებისაგან შეიქმნას საქართველოს რესპუბლიკის ახალი კონსტიტუციის პროექტის მოსამზადებელი კომისია საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში წარმოდგენილი პოლიტიკური პარტიების წინადადებათა გათვალისწინებით.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია.

თბილისი, 1990 წლის 15 ნოემბერი.
№ 22—I ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის კანონი

307 სავალდებულო სამხედრო სამსახურის შესახებ სსრ კავშირის კანონის საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედების თაობაზე

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

შეჩერებულ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე სავალდებულო სამხედრო სამსახურის შესახებ სსრ კავშირის კანონის მოქმედება, რათა საქართველოში მცხოვრები ახალგაზრდები აღარ გიწვიონ საბჭოთა არმიის რიგებში.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია.

თბილისი, 1990 წლის 15 ნოემბერი.
№ 23—I ს.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება

308 დეპუტატ თ. დ. დიხამინჯიას საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრესცენტრის ხელმძღვანელად დანიშვნის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

დანიშნოს დეპუტატი თენგიზ დავითის ძე **დიხამინჯია** საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრესცენტრის ხელმძღვანელად.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია.

თბილისი, 1990 წლის 15 ნოემბერი.
№ 27—I ს.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება

309 საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ინფორმაციისა და პროგნოზირების ცენტრის შექმნის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

1. შეიქმნას საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოსთან ინფორმაციისა და პროგნოზირების ცენტრი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. ზემოაღნიშნული ცენტრის ხელმძღვანელად დაინიშნოს დეპუტატი შალვა გიორგის ძე **აბზიანიძე.**

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია.

თბილისი, 1990 წლის 15 ნოემბერი.
№ 28—I ს.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება

310 მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მიერ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს და მისი კომისიების სხდომათა გაშუქების წესის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

1. მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მიერ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მუშაობის გაშუქების უკეთ ორგანიზაციის მიზნით იქმნება საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს **პრესცენტრი.**

პრესცენტრი რეგულარულად ატარებს ბრიფინგებს, ხოლო უზენაესი საბჭოსა და მისი **კომისიების მიერ განსახილველ უმნიშვნელოვანეს** საკითხებზე — პრესკონფერენციებს საქართველოს რესპუბლიკის, საბჭოთა და უცხოელი **ჟურნალისტებისათვის.**

2. განისაზღვროს, რომ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს და მისი **კომისიების** სხდომათა პირდაპირ ტელეგადაცემებს ან ჩაწერას ახორციელებს საქართველოს რესპუბლიკის ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო **კომიტეტი.**

ყველა სხვა საბჭოთა და უცხოური ორგანიზაცია, სატელევიზიო კომპანიები **უზენაესი** საბჭოს კომისიების სხდომათა გადაღებას არ **აწარმოებენ.** ასეთ გადაღებებზე ნებართვა გამონაკლისის სახით მიიღება **უზენაესი საბჭოს კომისიების** გადაწყვეტილებით.

3. საქართველოს **რესპუბლიკის** უზენაესი საბჭოს **კომისიების სხდომებზე** დაიშვებიან მასობრივი ინფორმაციის საქართველოს **რესპუბლიკის,** საბჭოთა და უცხოელი წარმომადგენლები, **რომლებიც** აკრედიტებული არიან **უზენაესი** საბჭოს **პრესცენტრთან,** ან **რომლებსაც** აქვთ **უზენაესი** საბჭოს **კომისიების** ერთჯერადი **მოწვევა.**

4. **იმ შემთხვევაში,** თუ **საქართველოს** რესპუბლიკის, **საბჭოთა ან** უცხოეთის **პრესაში** გამოქვეყნდა **მასალები,** რომლებიც **ამახინჯებენ** საქართველოს **რესპუბლიკის** უზენაესი **საბჭოს,** მისი **ორგანოების,** საქართველოს **რესპუბლიკის** უზენაესი **საბჭოს** დეპუტატთა **საქმიანობას, შესაბამის** მასობრივი ინფორ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაციის საშუალებათა წარმომადგენლებს შეიძლება განაზღვრული დროითი ჩა-
ნოერთვათ აკრედიტაცია.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია.

თბილისი, 1990 წლის 15 ნოემბერი.
№ 28ა—I ს.

(1990 წლის 22 ნოემბერი)

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება

311 საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს კანონმდებლობისა და კანონიერებების დაცვის მუდმივი კომისიის არჩევის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

კანონმდებლობისა და კანონიერების დაცვის კომისიის შემადგენლობაში **არჩეულ იქნენ** შემდეგი **დეპუტატები:**

კომისიის თავმჯდომარე

ნუგზარ არჩილის ძე **მოლოდინაშვილი**

კომისიის წევრები:

დავით ბიჭიკოს ძე **კუპრეიშვილი**
გიორგი გელას ძე **გულბანი**
ვიქტორ პეტრეს ძე **დომუხოვსკი**
ვაჟა ბორისის ძე **აბაკელია**
თედორე გიორგის ძე **ნინიძე**
ალექსანდრე გიორგის ძე **ქობულაშვილი**
ზვიად მიხეილის ძე **ბოკუჩავა**
მინდია გურამის ძე **უგრეხელიძე**
მალხაზ ტარიელის ძე **კვანტილაშვილი**
ალექსანდრე ამირანის ძე **შუშანაშვილი**
ნოდარ რევაზის ძე **ნათაძე.**

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია.

თბილისი, 1990 წლის 22 ნოემბერი.
№ 29—I ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება

312 საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო მუდმივი კომისიის არჩევის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის შემადგენლობაში არჩეულ იქნენ შემდეგი დეპუტატები:

კომისიის თავმჯდომარე

ტარიელ ამირანის ძე **გელანტია**

კომისიის წევრები:

გივი თემიკოს ძე **ურიათმყოფელი**
დემურ ნოეს ძე **დვალიშვილი**
გელა ელიზბარის ძე **კობერიძე**
თენგიზ სერგის ძე **მამფორია**
გოგი გიორგის ძე **ჩიქავა**
ედიშერ კალისტრატეს ძე **ჯანჯულია.**

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია.

თბილისი, 1990 წლის 22 ნოემბერი.
№ 30—I ს.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება

313 საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ეკონომიკური რეფორმის მუდმივი კომისიის არჩევის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

ეკონომიკური რეფორმის კომისიის შემადგენლობაში არჩეულ იქნენ შემდეგი დეპუტატები:

კომისიის თავმჯდომარე

გივი ჩიტოს ძე **თაქთაქიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომისიის წევრები:

რომან რაჟდენის ძე **გოცირიძე**
ზურაბ ვახტანგის ძე **გიგილაშვილი**
ვაჟა გივის ძე **გურგენიძე**
ვალერი აკაკის ძე **შარიქაძე**
ნოშრევან მახმუდის ძე **მამულაძე**
ალექსანდრე ზურაბის ძე **ახვლედიანი**
ნოდარ ამროსის ძე **ჭითანავა**
კონსტანტინე ვახტანგის ძე **კაპანაძე**
მალხაზ ტარიელის ძე **კვანჭილაშვილი**
ნიკოლოზ ჯიმშერის ძე **სანებლიძე**
იური გიორგის ძე **ბურკაძე**
მირიან შოთას ძე **მირიანაშვილი**
ავთანდილ დიმიტრის ძე **პოპიაშვილი**
ვლადიმერ ვასილის ძე **ცოფურაშვილი.**

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია.

თბილისი, 1990 წლის 22 ნოემბერი.
№ 31—I ს.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება

314 საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ჰუმანიტარულ და სოციალურ საკითხთა მუდმივი კომისიის არჩევის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

ჰუმანიტარულ და სოციალურ საკითხთა კომისიის შემადგენლობაში არჩეულ იქნენ შემდეგი დეპუტატები:

კომისიის თავმჯდომარე

რობერტ მელენტის ძე **პეტრიაშვილი**

კომისიის წევრები:

ჯემალ სულიკოს ძე **იონათამიშვილი**
აკაკი ზურაბის ძე **კობაძე**
ემზარ გიორგის ძე **გოგუაძე**
ნოდარ ტარიელის ძე **იმნაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანანა გრიგოლის ასული **ძოძუაშვილი**
ტარიელ ალექსანდრეს ძე **ფუტკარაძე**
ბიმურზა გერმანეს ძე **აფრასიძე**
თამაზ ვალერიანის ძე **გუგუშვილი**
ანზორ ისმაილის ძე **კუდბა**
არჩილ ოთარის ძე **მაჭავარიანი**
თეიმურაზ ვალერიანის ძე **მჟავია**
თეიმურაზ იონას ძე **გვანცელაძე**
ბესარიონ ილიას ძე **ბიბინეიშვილი**
ირინე ილიას ასული **ტალიაშვილი**
ვარლამ ვარლამის ძე **კეშელავა**
რამაზ დურსუნის ძე **სურმანიძე**
აკაკი ვარლამის ძე **ძიძიგური**
ნინო ალექსანდრეს ასული **ჯავახიშვილი**
ზურაბ შალვას ძე **გუჩუა**
ვიქტორ პეტრეს ძე **დომუხოვსკი**
ნიკოლოზ არჩილის ძე **ხაჭაპურიძე**
ნუგზარ პეტრეს ძე **მგალობლიშვილი**
შოთა შოთას ძე **გაფრინდაშვილი**
ზაალ ნიკოლოზის ძე **კახიანი**
მერაბ ვლადიმერის ძე **საყვარელიძე**
თემურ სერგოს ძე **ლორთქიფანიძე**
თამაზ პიმენის ძე **ყურაშვილი**
ეთერ გრიგოლის ასული **ყაველაშვილი**
მალხაზ იოსების ძე **დვალიშვილი**
ლეო ლეონტის ძე **ჩიქავა**
თენგიზ ნესტორის ძე **ბარამიძე**
ავთანდილ პროკოფის ძე **იმნაძე**
გია გოდერძის ძე **ფირცხალაიშვილი**
იოსებ ვახტანგის ძე **კასრაძე**
ბიძინა გოდერძის ძე **გიორგობიანი**
დალი სარდიონის ასული **ფიროსმანაშვილი**
ბადრი გივის ძე **ჯაფარიძე.**

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია.

თბილისი, 1990 წლის 22 ნოემბერი.
№ 32—I ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება

315 საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მრეწველობის, ენერგეტიკის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის მუდმივი კომისიის არჩევის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

მრეწველობის, ენერგეტიკის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის კომისიის შემადგენლობაში არჩეულ იქნენ შემდეგი დეპუტატები:

კომისიის თავმჯდომარე

ბაკურ დავითის ძე **გულუა**

კომისიის წევრები:

ბეჟან გოგიტას ძე **აბესაძე**
დავით ბიკენტის ძე **არევაძე**
თამაზ გურამის ძე **გველესიანი**
ომარ ილიას ძე **ელოშვილი**
პაატა ავთანდილის ძე **თოიძე**
ანტონ ვლადიმერის ძე **ინგოროყვა**
ნუგზარ აქვსენტის ძე **კვაჭაძე**
ავთანდილ ალექსანდრეს ძე **კვეტენაძე**
მერაბ შალვას ძე **კიკნაძე**
ირაკლი სიმონის ძე **მასხარაშვილი**
არჩილ ვარლამის ძე **ოდიშარია**
ანზორ ალექსანდრეს ძე **საკანდელიძე**
ვლადიმერ ვასილის ძე **ცოფურაშვილი**
გიორგი იაკობის ძე **წითლანაძე**
გელა არტემის ძე **ჩორგოლაშვილი**
თამაზ ბესარიონის ძე **ჯანელიძე**
ბუხულა მერაბის ძე **ჯაფარიძე**
ნიკოლოზ არჩილის ძე **ხაჭაპურიძე**

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია.

თბილისი, 1990 წლის 22 ნოემბერი.
№ 33—I ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება

316 **საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სოფლის მეურნეობის, მიწათსარგებლობისა და ეკოლოგიის მუდმივი კომისიის არჩევის შესახებ**

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

სოფლის მეურნეობის, მიწათსარგებლობისა და ეკოლოგიის კომისიის შემადგენლობაში არჩეულ იქნენ შემდეგი დეპუტატები:

კომისიის თავმჯდომარე

ირაკლი ოთარის ძე **ჩხეიძე**

კომისიის წევრები:

დავით მარლენის ძე **ტაბიძე**
ედუარდ არჩილის ძე **ჯანელიძე**
გურამ (გრიგოლ) ეფრემის ძე **ისაკაძე**
გივი აბესალომის ძე **გოლეთიანი**
გია ანზორის ძე **სუბელიანი**
ბეჟან ბიძინას ძე **გონაშვილი**
ნუგზარ გრიგოლის ძე **მამალაძე**
თემურ დავითის ძე **მდინარაძე**
ტრისტან სოლომონის ძე **ხანიშვილი**
მიხეილ დიმიტრის ძე **მაყაშვილი**
გურამ შალვას ძე **მაქაცარია**
გურამ რაფაელის ძე **პაპუნიძე**
პაატა პეტრეს ძე **კოღუაშვილი**
კუკური ასტიონის ძე **ჩაფიჩაძე**
რამაზ ოტიას ძე **იოსელიანი**
ვლადიმერ ამბროსის ძე **მირცხულავა**

საქართველოს **რესპუბლიკის** უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. **გამსახურდია.**

თბილისი, 1990 წლის 22 ნოემბერი.
№ 34—I ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება

317 საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს საგარეო ურთიერთობათა მუდმივი კომისიის არჩევის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

საგარეო ურთიერთობათა კომისიის შემადგენლობაში არჩეულ იქნენ შემდეგი დეპუტატები:

კომისიის თავმჯდომარე

თედო შალვას ძე პაატაშვილი

კომისიის წევრები:

მერაბ ბორისის ძე **ურიდია**
თამაზ აბესალომის ძე **ობგაძე**
გიორგი იოსების ძე **ხონელიძე**
ლევან ანდრიას ძე **ალექსიძე**
დავით გურამის ძე **გოგაძე**
ლევან დიმიტრის ძე **ასათიანი**
ნიკოლოზ არჩილის ძე **კილასონია**
ირაკლი თენგიზის ძე **მელაშვილი**
გაიოზ ბენოს ძე **კორძაძე**
გივი მოსეს ძე **თალაკვაძე**
მუდეა მირიანის ასული **თუშმალიშვილი**
მანანა ვალერიანის ასული **გაბაშვილი**
თამაზ ვალერიანის ძე **გამყრელიძე.**

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია.

ქ. თბილისი, 1990 წლის 22 ნოემბერი.
№ 35—I ს.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება

318 საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავდაცვის, ეროვნული უშიშროებისა და მართლწესრიგის მუდმივი კომისიის არჩევის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

თავდაცვის, ეროვნული უშიშროებისა და მართლწესრიგის კომისიის შემადგენლობაში არჩეულ იქნენ შემდეგი დეპუტატები:

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომისიის თავმჯდომარე

ვაჟა გიორგის ძე **ადამია**

კომისიის წევრები:

გიორგი გრიგოლის ძე **ხავთასი**
ვალტერ გრიგოლის ძე **შურღაია**
ალექსანდრე ალექსანდრეს ძე **ვარძელაშვილი**
მალხაზ ვახტანგის ძე **ხუციშვილი**
ჯემალ აკაკის ძე **გოლეთიანი**
ნოდარ ტარიელის ძე **იმნაძე**
ვიქტორ კალისტრატეს ძე **ფხალაძე**
ალექსანდრე ირაკლის ძე **კავსაძე**
ბესიკ თენგიზის ძე **ქუთათელაძე**
ზვიად ვალიკოს ძე **ძიძიგური**
ზაურ დავითის ძე **ქობალია**
გია გოდერძის ძე **ფირცხალაიშვილი**
ნუგზარ აქვსენტის ძე **კვაჭაძე**
შალვა ავთანდილის ძე **წინწილაშვილი**
ზურაბ ტიტეს ძე **სანიკიძე**
თენგიზ ამირანის ძე **ბეჟაშვილი.**

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია.

თბილისი, 1990 წლის 22 ნოემბერი.
№ 36—I ს.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება

319 საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს კულტურის, განათლებისა და მეცნიერების მუდმივი კომისიის არჩევის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

კულტურის, განათლებისა და მეცნიერების კომისიის შემადგენლობაში არჩეულ იქნენ შემდეგი დეპუტატები:

კომისიის თავმჯდომარე

თეიმურაზ აკაკის ძე **ქორიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომისიის წევრები:

თამაზ ვალერიანის ძე **გამყრელიძე**
მუხრან ივანეს ძე **მაჭავარიანი**
გიორგი გივის ძე **მარჯანიშვილი**
გურამ მელენტის ძე **პეტრიაშვილი**
ნოდარ ალექსანდრეს ძე **წულეისკირი**
როინ ვიქტორის ძე **მეტრეველი**
ბიძინა კონსტანტინეს ძე **ჩოლოყაშვილი**
იოსებ ზურაბის ძე **ბარათაშვილი**
მამა არჩილი **(მინდიაშვილი)**
მაია პეტრეს ასული **თომაძე**
ავთანდილ ფარნაოზის ძე **რცხილაძე**
თენგიზ ნიკოლოზის ძე **ჩაჩავა**
ივანე (უშანგი) თედოს ძე **ტურაშვილი**
ალექსანდრე დავითის ძე **ყღენტი**
ზურაბ ნიკოლოზის ძე **წიქარიძე**
ანზორ ვალერიანის ძე **სიჭინავა**
გუბაზ ლევანის ძე **სანიკიძე**
გურამ ალექსანდრეს ძე **გუჯაბიძე**
აკაკი ივანეს ძე **ბობოხიძე**
ბიმურზა გერმანეს ძე **აფრასიძე**
ბეჟან აპოლონის ძე **ჯავახია**
გია მიხეილის ძე **შაიშმელაშვილი**
თენგიზ პიმენის ძე **კუბლაშვილი**
ტარიელ ალექსანდრეს ძე **ფუტკარაძე**

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია.

თბილისი, 1990 წლის 22 ნოემბერი,
№ 37—I ს.

საქართველოს რესპუბლიკის კანონი

320 საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს გაერთიანების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

გაერთიანდეს საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო და საქართველოს რესპუბლიკის სოციალური უზრუნველყოფის სამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნისტრო და ეწოდოს საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო.

შეტანილ იქნეს ცვლილებანი და დამატებანი საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს შესახებ კანონში.

აღნიშნული კანონის 25-ე მუხლიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები: „საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო“;

26-ე მუხლში სიტყვები „საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო“ შეიცვალოს სიტყვებით „საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო“.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია.

თბილისი, 1990 წლის 22 ნოემბერი.
№ 38—I ს.

საქართველოს რესპუბლიკის კანონი

321 საქართველოს რესპუბლიკის ტრანსპორტის სამინისტროს შექმნის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

შეიქმნას საქართველოს რესპუბლიკის ტრანსპორტის სამინისტრო.

შეტანილ იქნეს ცვლილებანი და დამატებანი საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს შესახებ კანონში.

აღნიშნული კანონის 26-ე მუხლში სიტყვები „საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტისა და გზების სამინისტრო“ შეიცვალოს სიტყვებით „საქართველოს რესპუბლიკის ტრანსპორტის სამინისტრო“.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია.

თბილისი, 1990 წლის 22 ნოემბერი.
№ 39—I ს.

საქართველოს რესპუბლიკის კანონი

322 საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერების, ტექნიკისა და პერსპექტიული დაგეგმვის სამინისტროს შექმნის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

1. შეიქმნას საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერების, ტექნიკისა და პერსპექტიული დაგეგმვის სამინისტრო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. შეტანილ იქნეს დამატებანი საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთ. საბჭოს შესახებ კანონში.

3. აღნიშნული კანონის 26-ე მუხლში სიტყვების „ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერების, ტექნიკისა და პერსპექტიული დაგეგმვის სამინისტრო“.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია.

თბილისი, 1990 წლის 22 ნოემბერი.
№ 40—I ს.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება

323 ჯ. გ. ხეცურიანის საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრად დანიშვნის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

დაინიშნოს ჯონი გრიგოლის ძე **ხეცურიანი** საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრად.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია.

თბილისი, 1990 წლის 22 ნოემბერი.
№ 40ა—I ს.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება

324 ი. ა. მენაღარიშვილის საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მინისტრად დანიშვნის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

დაინიშნოს ირაკლი ათინოგენის ძე **მენაღარიშვილი** საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მინისტრად.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია.

თბილისი, 1990 წლის 22 ნოემბერი.
№ 41—I ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება

325 ნ. ა. წულეისკირის საქართველოს რესპუბლიკის კულტურის მინისტრად დანიშვნის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

დანიშნოს ნოდარ ალექსანდრეს ძე **წულეისკირი** საქართველოს რესპუბლიკის კულტურის მინისტრად.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია.

თბილისი, 1990 წლის 22 ნოემბერი.
№ 42—I ს.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება

326 ლ. ნ. ანდღულაძის საქართველოს რესპუბლიკის განათლების მინისტრად დანიშვნის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

დანიშნოს ლია ნიკოლოზის ასული **ანდღულაძე** საქართველოს რესპუბლიკის განათლების მინისტრად.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია.

თბილისი, 1990 წლის 22 ნოემბერი.
№ 43—I ს.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება

327 თ. შ. კვანტალიანის საქართველოს რესპუბლიკის ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

დანიშნოს თეიმურაზ შოთას ძე **კვანტალიანი** საქართველოს რესპუბლიკის ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია.

თბილისი, 1990 წლის 22 ნოემბერი.
№ 44—I ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება

328 **ი. ს. ჟორდანიას საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერების, ტექნიკისა და პერსპექტიული დაგეგმვის მინისტრად დანიშვნის შესახებ**

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

დაინიშნოს ირაკლი სერგის ძე **ჟორდანია** საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერების, ტექნიკისა და პერსპექტიული დაგეგმვის მინისტრად.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია.

თბილისი, 1990 წლის 22 ნოემბერი.
№ 45—I ს.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება

329 **ა. პ. ჩხეიძის საქართველოს რესპუბლიკის ტრანსპორტის მინისტრად დანიშვნის შესახებ**

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

დაინიშნოს ალექსანდრე პეტრეს ძე **ჩხეიძე** საქართველოს რესპუბლიკის ტრანსპორტის მინისტრად.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია.

თბილისი, 1990 წლის 22 ნოემბერი.
№ 46—I ს.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება

330 **ფ. გ. ტყეებუჩავას საქართველოს რესპუბლიკის კავშირგაბმულობის მინისტრად დანიშვნის შესახებ**

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

დაინიშნოს ფელიქს გრიგოლის ძე **ტყეებუჩავა** საქართველოს რესპუბლიკის კავშირგაბმულობის მინისტრად.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია.

თბილისი, 1990 წლის 22 ნოემბერი.
№ 47—I ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება

331 თ. გ. გველესიანის საქართველოს რესპუბლიკის ვაჭრობის მინისტრად დანიშვნის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

დაინიშნოს თამაზ გურამის ძე **გველესიანი** საქართველოს რესპუბლიკის ვაჭრობის მინისტრად.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია.

თბილისი, 1990 წლის 22 ნოემბერი.
№ 48—I ს.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება

332 გ. ვ. აბსანძის საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრად დანიშვნის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

დაინიშნოს გურამ ვალიკოს ძე **აბსანძე** საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრად.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია.

თბილისი, 1990 წლის 22 ნოემბერი.
№ 49—I ს.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება

333 დ. მ. ხაბულიანის საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრად დანიშვნის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

დაინიშნოს დილარ მიხეილის ძე **ხაბულიანი** საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრად.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია.

თბილისი, 1990 წლის 22 ნოემბერი.
№ 50—I ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება

334 გ. მ. ხოშტარიას საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრად დანიშვნის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

დანიშნოს გიორგი მეთოდეს ძე **ხოშტარია** საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრად.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია.

თბილისი, 1990 წლის 22 ნოემბერი.
№ 51—I ს.

საქართველოს რესპუბლიკის კანონი

335 საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში (ძირითად კანონში) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებანი და დამატებანი:

1. 118-ე მუხლის მეორე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრი, როგორც წესი, წყვეტს საწარმოო თუ სამსახურებრივ საქმიანობას“.

2. 92-ე მუხლის მე-4 ნაწილსა და 110-ე მუხლის პირველ ნაწილში სიტყვები „საქართველოს რესპუბლიკის პროკურორი“ შეიცვალოს სიტყვებით „საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორი“.

3. 104-ე მუხლის მე-20 პუნქტში სიტყვები „სახელმწიფო არბიტრაჟის კოლეგიას“ შეიცვალოს სიტყვებით „სახელმწიფო არბიტრაჟისა და პროკურატურის კოლეგიები“.

4. 117-ე მუხლის მეორე ნაწილში სიტყვები „სახელმწიფო არბიტრაჟის კოლეგიის“ შეიცვალოს სიტყვებით „სახელმწიფო არბიტრაჟისა და პროკურატურის კოლეგიების“.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია.

თბილისი, 1990 წლის 22 ნოემბერი.
№ 52—I ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება

336 სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს მიერ ოლქის სტატუსის შეცვლის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო აღნიშნავს, რომ უკანასკნელ პერიოდში სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში შეინიშნება სეპარატისტული მოძრაობა, რომელიც ხელყოფს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტს.

ამის დამადასტურებელია სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს 1990 წლის 20 სექტემბრის დადგენილება ოლქის ე. წ. „სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიულ რესპუბლიკად“ გარდაქმნის შესახებ.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1990 წლის 21 სექტემბრის დადგენილებით გააუქმა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს სესიის 1990 წლის 20 სექტემბრის გადაწყვეტილება.

მიუხედავად ამისა ა. წ. 16 ოქტომბერს მოწვეულ იქნა ავტონომიური ოლქის საბჭოს მეთხუთმეტე სესია, რომელმაც დაადასტურა თავისი წინა გადაწყვეტილება, აირჩია ე. წ. „სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიული რესპუბლიკის აღმასრულებელი კომიტეტი“ და მიიღო დროებითი დებულება სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიული რესპუბლიკის უზენაესი საბჭოსა და სამხრეთ ოსეთის ადგილობრივი საბჭოების არჩევნების შესახებ: არჩევნები დაინიშნა 1990 წლის 2 დეკემბრისათვის.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

გაუქმდეს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს დადგენილება ავტონომიური ოლქის ე. წ. „სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიულ რესპუბლიკად“ გარდაქმნის შესახებ და, აქედან გამომდინარე, მის მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება, მათ შორის 1990 წლის 2 დეკემბრისათვის არჩევნების დანიშვნისა და ჩატარების შესახებ, რადგანაც ისინი ეწინააღმდეგებიან საქართველოს რესპუბლიკის მოქმედი კონსტიტუციის, აგრეთვე სსრ კავშირის კონსტიტუციის დებულებებს და საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1990 წლის 21 სექტემბრის დადგენილებას.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო მიმართავს სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში მცხოვრებ ყველა ეროვნების მოქალაქეს, განსაკუთრებით ოსი ეროვნების მოქალაქეებს მოწოდებით, გამოიჩინონ კეთილგონიერება, პოლიტიკური წინდახედულება, სიფხიზლე და სწორად შეაფასონ სეპარატისტული ძალების სახიფათო მოქმედება, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს საერთო დესტაბილიზაცია და უაღრესად მძიმე, გაუთვალისწინებელი შედეგები.

რესპუბლიკის უზენაესი საბჭო აცხადებს, რომ იგი განუხრელად იბრძოლებს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტისათვის. ამასთან ერთად იგი ადასტურებს თავის გადაწყვეტილებას, რომ კვლავაც დაიცავს საქართველოში მცხოვრები ყველა ეროვნული უმცირესობის

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფლებებს საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპების შესაბამისად.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია.

თბილისი, 1990 წლის 22 ნოემბერი.
№ 53—I ს.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება

337 დეპუტატ ვ. პ. დომუხოვსკის მიერ შეკითხვის წესით დასმული საკითხის შემსწავლელი კომისიის შექმნის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

შეიქმნას 1983 წლის 18 ნოემბერს თვითმფრინავის გატაცების მცდელობის შესახებ № 201 საქმის შემსწავლელი კომისია.

კომისიამ გაარკვიოს:

1. განაჩენის კანონიერება.
2. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ აღნიშნულ საქმეზე მსჯავრდებულთა შეუწყალებლობის მიზეზი.
3. რა პირობებში დაიღუპა მხატვარი სოსო წერეთელი.
4. იყო თუ არა მოყვანილი სისრულეში განაჩენი ძმები პაატა და კახა ივერიელებისა და გეგა კობახიძის მიმართ და თუ არსებობს ამის დამადასტურებელი საბუთები.
5. რა ბედი ეწია მღვდელ თემურ ჩიხლაძეს, რომლის დახვრეტის შესახებ შეტყობინება ოჯახს არ მიუღია.
6. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტმა წარუდგინოს კომისიას № 201 საქმის მასალები და სასამართლო პროცესის დროს გადაღებული სრული ვიდეოფირი.
7. საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრომ მიაწოდოს კომისიას სამინისტროს განკარგულებაში არსებული მასალები მსჯავრდებულთა — პაატა და კახა ივერიელების, გეგა კობახიძისა და თემურ ჩიხლაძის შესახებ.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია.

თბილისი, 1990 წლის 22 ნოემბერი.
№ 55—I ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის კანონი

338 საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის ზოგიერთი მუხლის მოქმედების შეჩერების თაობაზე

იმის გამო, რომ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1990 წლის 15 ნოემბრის კანონით საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე შეჩერებულია სავალდებულო სამხედრო სამსახურის შესახებ სსრ კავშირის კანონის მოქმედება, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

შეჩერებულ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 81-ე, 82-ე, 218-ე და 219-ე მუხლების მოქმედება.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია.

თბილისი, 1990 წლის 22 ნოემბერი.
№ 56—I ს.

საქართველოს რესპუბლიკის კანონი

339 ამნისტიის შესახებ

მრავალპარტიულ დემოკრატიულ არჩევნებში საქართველოს ეროვნული მოძრაობის მიერ მოპოვებული გამარჯვების, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის გარდამავალი პერიოდის დაწყების აღსანიშნავად, ჰუმანიზმის პრინციპებიდან გამომდინარე, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

1. განთავისუფლდნენ სასჯელისაგან თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული ვადის მიუხედავად, აგრეთვე ისეთი სასჯელისაგან, რომელიც არ არის დაკავშირებული თავისუფლების აღკვეთასთან, საქართველოს სსრ სასამართლოების მიერ მსჯავრდებულნი:

ა) ქალები;

ბ) 60 წელზე უფროსი მამაკაცები;

გ) I და II ჯგუფის ინვალიდები.

2. განთავისუფლდნენ სასჯელისაგან მსჯავრდებულნი, რომლებსაც მისჯილი აქვთ თავისუფლების აღკვეთა ვადით 5 წლამდე ჩათვლით და მანამდე არ მოუხდიათ სასჯელი შრომა-გასწორების დაწესებულებებში. აგრეთვე მსჯავრდებულნი, რომლებსაც მისჯილი აქვთ სასჯელი, რომელიც არ არის დაკავშირებული თავისუფლების აღკვეთასთან.

3. განთავისუფლდნენ სასჯელის შემდგომი მოხდისაგან მსჯავრდებულნი, რომლებმაც რეალურად მოიხადეს შეფარდებული სასჯელის ნახევარი და მანამდე არ მოუხდიათ სასჯელი შრომა-გასწორების დაწესებულებებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. განთავისუფლდნენ სასჯელისაგან თავისუფლების აღკვეთის საზით არასრულწლოვანნი, რომლებსაც მანამდე არ მოუხდიათ სასჯელი შრომა-გასწორების დაწესებულებებში.

5. განთავისუფლდნენ სასჯელისაგან მსჯავრდებულნი, რომლებსაც გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაულისათვის მისჯილი აქვთ თავისუფლების აღკვეთა ვადით 8 წლამდე ჩათვლით.

6. გაუნახევრდეთ სასჯელი მსჯავრდებულებს, რომლებსაც გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაულისათვის მისჯილი აქვთ თავისუფლების აღკვეთა 8 წელზე ზევით.

7. შეწყდეს იმ დანაშაულთა გამო აღძრული ყველა საგამოძიებო და სასამართლოებში განუხილველი საქმის წარმოება, რომლებიც ამ კანონის პირველ მუხლში ჩამოთვლილმა პირებმა ჩადინეს ძალაში შესვლამდე.

8. არ განთავისუფლდნენ სასჯელისაგან ამ კანონის 1, მე-2, მე-3 და მე-4 მუხლებში ჩამოთვლილი პირები, რომლებიც:

ა) მსჯავრდებული არიან: ეროვნული და რასობრივი თანასწორუფლებიანობის დარღვევისათვის (სსკ 75-ე მუხ.), ბანდიტიზმისათვის (სსკ 78-ე მუხ.); ყალბი ფულის ან ფასიანი ქაღალდის დამზადებისა და გასაღებისათვის (სსკ 88-ე მუხ.); განზრახ მკვლელობისათვის (სსკ 104-ე და 105-ე მუხ.); სხეულის განზრახ მძიმე დაზიანებისათვის (სსკ 110-ე მუხ.); საზოგადოებრივი წესრიგის დამცველი მილიციის მუშაკის ან სახალხო რაზმელის სიცოცხლის ხელყოფისათვის (სსკ 209[1] მუხ.); გაუპატიურებისათვის (სსკ 117-ე მუხლის III და IV ნაწილები); სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების განსაკუთრებით დიდი ოდენობით გატაცებისათვის ქურდობის, ძარცვის ან ყაჩაღობის გზით (სსკ 96[1] მუხ.); დამამძიმებელ გარემოებებში სახელმწიფო ან საზოგადოებრივი და მოქალაქეთა პირადი ქონების ქურდობისათვის (სსკ 91-ე მუხლის III და IV ნაწილები და სსკ 150-ე მუხლის III და IV ნაწილები); დამამძიმებელ გარემოებებში გაძარცვისათვის (სსკ 92-ე მუხლის II, III და IV ნაწილები და სსკ 151-ე მუხლის II, III და IV ნაწილები), ყაჩაღობისათვის (სსკ 96-ე და 152-ე მუხლებით); განსაკუთრებით ბოროტი ხულიგნობისათვის (სსკ 28-ე მუხლის III ნაწ.); ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის ან ფეთქებადი ნივთიერების გატაცებისათვის (სსკ 240-ე მუხ.); დამამძიმებელ გარემოებებში სატრანსპორტო საშუალებათა გატაცებისათვის (სსკ 243-ე მუხლის II ნაწილი); ნარკოტიკულ საშუალებათა უკანონოდ დამზადების, შეძენის, შენახვის, გადაზიდვის, გადაგზავნის ან გასაღებისათვის (სსკ 252-ე მუხლის I, II, III, IV და V ნაწილები); ნარკოტიკულ საშუალებათა ხმარებაზე დაყოლიებისათვის (სსკ 252[3] მუხ.); ნარკოტიკულ საშუალებათა მოხმარების ბუნაგის მოწყობის, შენახვის ან ამ მიზნებისათვის სადგომის მიცემისათვის (სსკ 252[5] მუხ.); გასაშენებლად აკრძალული ხაშხაშის და კანაფის დათესვისათვის (სსკ 253-ე მუხ.);

ბ) განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტებად ცნობილი პირები;

გ) პირები, რომლებიც სამჯერ და მეტჯერ არიან ნასამართლევი და მისჯილი ჰქონდათ თავისუფლების აღკვეთა განზრახ ჩადენილი დანაშაულებებისათვის,

ეროვნული ბიბლიოთეკა

აგრეთვე მანამდე ნასამართლევი არიან ამ კანონის მე-8 მუხლის „ა“ პუნქტში აღნიშნული დანაშაულისათვის;

დ) პირები, რომლებმაც მთვრალ მდგომარეობაში ჩაიდინეს სატრანსპორტო საშუალებათა მართვის წესების დარღვევა (სსკ 241-ე მუხლის III და IV ნაწილები).

9. შეუმცირდეთ სასჯელის მოუხდელი ნაწილი შემდეგ პირებს, რომლებიც არ თავისუფლდებიან სასჯელისაგან ამ კანონის საფუძველზე:

ა) რომლებიც პირობით გაანთავისუფლეს თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან შრომაში სავალდებულო ჩაბმით, — სანახევროდ;

ბ) მსჯავრდებულებს, რომლებიც სასჯელს იხდიან შრომა-გასწორების დაწესებულებებში და მოიხადეს დანიშნული სასჯელის სულ ცოტა ერთი მესამედი, — სანახევროდ.

10. ამ კანონის საფუძველზე სასჯელისაგან განთავისუფლებულ პირებს სასამართლობა არ ეცნობათ, ისინი დამატებითი სასჯელისაგან არ თავისუფლდებიან (გადასახლებისა და გასახლების გარდა).

11. ეს კანონი ძალაში შედის მიღებისთანავე და უნდა შესრულდეს ექვსი თვის განმავლობაში.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია.

თბილისი, 1990 წლის 22 ნოემბერი.
№ 57—I ს.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება

340 ამნისტიის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის 1990 წლის 22 ნოემბრის კანონის გამოყენების წესის თაობაზე

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

1. ამნისტიის შესახებ კანონის მოქმედება ვრცელდება საქართველოს რესპუბლიკის სასამართლოების მიერ მსჯავრდებულ იმ პირებზე, რომლებმაც ჩაიდინეს დანაშაული კანონის ძალაში შესვლამდე, ე. ი. 1990 წლის 22 ნოემბრის 20.00 საათამდე.

2. ამნისტიის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის 1990 წლის 22 ნოემბრის კანონის შესრულება დაეკისროთ:

ა) შინაგან საქმეთა ორგანოებს:

მსჯავრდებულთა მიმართ, რომლებიც თავისუფლების აღკვეთის ადგილებში იმყოფებიან — შრომა-გასწორების დაწესებულების უფროსის დადგენილებით;

იმ პირთა მიმართ, რომელთაც პირობით აქვთ მისჯილი თავისუფლების აღკვეთა შრომაში სავალდებულო ჩაბმით ან პირობით არიან გათავისუფლე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბული თავისუფლების აღკვეთის ადგილიდან შრომაში სავალდებულო ჩაბმით — სპეციკომენდატურის უფროსის დადგენილებით;

იმ პირთა მიმართ, რომელთაც მისჯილი აქვთ თავისუფლების აღკვეთა და არ არიან დაპატიმრებულნი, ან პირობით აქვთ მისჯილი თავისუფლების აღკვეთა შრომაში სავალდებულო ჩაბმით და არ არიან გაგზავნილნი სამუშაო ადგილას, აგრეთვე იმ პირთა მიმართ, რომლებიც სასჯელს იხდიან გადასახლების, გასახლების, თავისუფლების აღუკვეთლად გამასწორებელი სამუშაოების, გაკვეული თანამდებობის დაკავების ან გარკვეული საქმიანობის უფლების ჩამორთმევის სახით — შინაგან საქმეთა რაიონული (ქალაქის) განყოფილების (სამმართველოს) უფროსის დადგენილებით;

ბ) მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების ორგანოებს:

იმ პირთა მიმართ, რომელთა დანაშაულის შესახებ საქმეები და მასალები ამ ორგანოების წარმოებაშია;

გ) სასამართლოებს:

იმ პირთა მიმართ, რომელთა დანაშაულის შესახებ საქმეები და მასალები სასამართლოების წარმოებაში და კანონის ძალაში შესვლის დროისათვის არ არის განხილული, აგრეთვე იმ პირთა მიმართ, რომელთა დანაშაულის შესახებ საქმეები განხილულია, მაგრამ განაჩენი კანონიერ ძალაში არ შესულა;

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 46-ე მუხლის შესაბამისად პირობით მსჯავრდებულთა მიმართ და იმ პირთა მიმართ, რომლებსაც განაჩენის აღსრულება გადაუვადდათ ამავე კოდექსის 47[1] მუხლით გათვალისწინებული წესით;

— მსჯავრდებულთა მიმართ, რომელთაც ძირითად სასჯელად მისჯილი აქვთ ჯარიმა, თუ კანონის ძალაში შესვლამდე ჯარიმა გადახდევინებული არ არის, ამნისტიის გამოყენების საკითხს წყვეტს სასამართლო, რომელმაც განაჩენი გამოიტანა;

სასჯელისაგან ვადამდე პირობით გათავისუფლებულ და იმ პირთა მიმართ, რომელთაც სასჯელის მოუხდელი ნაწილი შეცვლილი აქვთ უფრო მსუბუქი სასჯელით, კანონის ძალაში შესვლამდე ამნისტიის გამოყენების საკითხს წყვეტს სასამართლო, რომელმაც გამოიტანა დადგენილება ვადამდე პირობით გათავისუფლების ან სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლის შესახებ.

3. მსჯავრდებულთა მიმართ, რომლებიც სასჯელს იხდიან რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ, ამნისტიის შეფარდების საკითხს წყვეტენ განაჩენის დამდგენი საქართველოს რესპუბლიკის სასამართლოები შინაგან საქმეთა ორგანოების წარდგინებით.

4. შინაგან საქმეთა ორგანოების, აგრეთვე მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების ორგანოების დადგენილებას ამნისტიის შეფარდების შესახებ ამტკიცებს პროკურორი.

სასამართლოების მიერ ამნისტიის შესახებ კანონის შეფარდების დროს პროკურორის მონაწილეობა აუცილებელია.

5. განიმარტოს, რომ ამნისტიის გამოყენების დროს:

ა) ამნისტიის შესახებ კანონის პირველი, მეორე, მესამე და მეოთხე მუხლების მოქმედება ვრცელდება სისხლის სამართლის კოდექსის 46-ე და 47[1] მუხლების გამოყენებით მსჯავრდებულ პირებზე, აგრეთვე მათზე, ვისაც პირობით მიესაჯათ თავისუფლების აღკვეთა შრომაში სავალდებულო ჩაბმით ან პირობით არიან გათავისუფლებული შრომაში სავალდებულო ჩაბმით;

ბ) კანონის პირველი მუხლის „გ“ პუნქტის მოქმედება ვრცელდება მამაკაცებზე, რომლებიც 60 წლის ასაკს მიაღწევენ კანონის შესრულების პერიოდში;

გ) კანონის პირველი მუხლის „გ“ პუნქტის მოქმედება ვრცელდება პირებზე, რომლებიც დადგენილი წესით მიჩნეულნი იყვნენ ინვალიდებად კანონის ძალაში შესვლამდე, აგრეთვე მათზე, რომელთა კანონის ძალაში შესვლის დროისათვის ინვალიდობის ფაქტი დადასტურდება კანონით შესრულების პერიოდში;

დ) კანონის მე-3 მუხლი ვრცელდება იმ მსჯავრდებულებზე, რომლებმაც რეალურად მოიხადეს სასჯელის ნახევარი ამნისტიის შეფარდების დროისათვის;

ე) კანონის მე-4 მუხლის მოქმედება ვრცელდება მსჯავრდებულებზე, რომლებმაც დანაშაული ჩაიდინეს არასრულწლოვანობის პერიოდში.

არასრულწლოვან ქალებზე ვრცელდება კანონის პირველი მუხლის „ა“ პუნქტი;

ვ) კანონის მე-6 და მე-9 მუხლების საფუძველზე უნდა შემცირდეს კანონის ძალაში შესვლის დროისათვის სასჯელის მოუხდელი ნაწილი;

ზ) კანონის მე-8 მუხლის „ა“ ჩამონათვალში სიტყვები „სსკ 243-ე მუხლის II ნაწილი უნდა იკითხებოდეს „სსკ 243-ე მუხლის III ნაწილი“.

6. თავისუფლების აღკვეთილად გამასწორებელი სამუშაოების მოხდა, ძირითად სასჯელად შეფარდებული გადასახლება, გასახლება, გარკვეული თანამდებობის დაკავების ან გარკვეული საქმიანობის უფლების ჩამორთმევა შეწყდება შინაგან საქმეთა ორგანოს მიერ ამნისტიის შეფარდების თაობაზე პროკურორის მიერ დამტკიცებული დადგენილების გამოტანის დღიდან.

7. შეწყდეს იმ დანაშაულთა გამო აღძრული ყველა საგამოძიებო და სასამართლოებში განუხილველი საქმის წარმოება, რომელთათვისაც კანონით გათვალისწინებულია სასჯელი თავისუფლების აღკვეთის სახით ვადით ხუთ წლამდე ჩათვლით ან სასჯელი, რაც არ არის დაკავშირებული თავისუფლების აღკვეთასთან, თუ პირს, რომლის მიმართაც აღძრულია საქმე, მანამდე არ მოუხდია სასჯელი შრომა-გასწორების დაწესებულებაში. ასევე შეწყდეს საგამოძიებო და სასამართლოებში განუხილველი საქმეები კანონის მე-4 მუხლში აღნიშნული პირების მიმართ.

8. ამნისტიის შესახებ კანონის გამოყენების დროს მხედველობაში არ მიიღება ნასამართლობა, რომელიც გაქარწყლებული ან მოხსნილია კანონით დადგენილი წესით.

ასევე არ მიიღება მხედველობაში იმ პირთა ნასამართლობა, რომლებიც ადრე მსჯავრდებულნი იყვნენ გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაულისათვის ან მსჯავრდებულნი იყვნენ განზრახი დანაშაულისათვის და შეეფარდათ სასჯელი, რაც არ არის დაკავშირებული თავისუფლების აღკვეთასთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

9. იმ პირთა მიმართ ამნისტიის გამოყენებისას, რომელთაც სასჯელის მოხდის პერიოდში სასჯელის ვადა უკვე შეუმცირდათ შეწყალების ან ამნისტიის წესით და არ ჩაუდენიათ ახალი განზრახი დანაშაული, ამნისტიის შეფარდებისას მხედველობაში მიიღება სასჯელის ის ვადა, რომელიც ამ აქტებით იქნა საბოლოოდ განსაზღვრული.

10. დანაშაულის ერთობლიობისას ამნისტიის შეფარდების საკითხი უნდა გადაწყდეს თითოეული დანაშაულის მიმართ ცალ-ცალკე.

11. წინადადება მიეცეს აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უზენაესი საბჭოების პრეზიდიუმებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს უზრუნველყონ კონტროლი ამნისტიის შესახებ კანონის შესრულებაზე.

12. დაეევალოს აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს, რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოების აღმასკომებს უზრუნველყონ:

ა) ყველა იმ პირის დროული აღრიცხვის ორგანიზაცია, რომლებიც ამნისტიის შესახებ კანონის საფუძველზე დაბრუნდნენ სასჯელის მოხდის ადგილებიდან, მათი შრომითი მოწყობა არა უგვიანეს 15-დღიანი ვადისა საცხოვრებელ ადგილზე ჩასვლიდან;

ბ) ინვალიდთა სახლებში იმ გათავისუფლებული ინვალიდებისა და ხანდაზმულების მოთავსება, რომლებსაც არა ჰყავთ მარჩენალი;

გ) უზრუნველყონ ამნისტიის შესახებ კანონის საფუძველზე სასჯელისაგან გათავისუფლებულ არასრულწლოვანთა დროულად აღრიცხვაზე აყვანა, მათი შრომითი მოწყობა, საჭიროების შემთხვევაში, ბავშვთა სახლებში, სასწავლო დაწესებულებებში მათი მოთავსება.

13. ამნისტიის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის 1990 წლის 22 ნოემბრის კანონის შესრულებისათვის მუშაობა დასრულდეს ექვსთვიან ვადაში მისი ძალაში შესვლიდან.

14. ამნისტიის გამოყენების თაობაზე საჩივრები და პროტესტები განიხილება კანონით დადგენილი წესით.

15. ზედამხედველობას ამ დადგენილების შესრულებაზე ახორციელებენ რესპუბლიკის პროკურატურის ორგანოები.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია.

თბილისი, 1990 წლის 22 ნოემბერი.
№ 60—I ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის კანონი

341 არსებული უქმე დღეების გაუქმებისა და ტრადიციულთა აღდგენის შესახებ

იზიარებს რა ქართველი საზოგადოებრიობის აზრს, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

1. გაუქმდეს საქართველოს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე დღემდე არსებული ყველა დღესასწაული და მათთან დაკავშირებული უქმე დღე, გარდა ახალი წლის (1 იანვარი) უქმე დღისა.

გაუქმდის ამასთან დაკავშირებული ყველა ნორმატიული აქტი.

2. საქართველოს სახელმწიფოებრიობის დამოუკიდებლობის აღდგენის დღე 26 მაისი გამოცხადდის დღესასწაულად და უქმე დღედ.

3. აღდგენილ იქნეს საეკლესიო დღესასწაულებთან დაკავშირებული შემდეგი უქმე დღეები:

ბრწყინვალე აღდგომა უფლისა ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი (თარიღი გარდამავალია).

ნათლისღება — განცხადება უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი — 19 იანვარი (ძველი სტილით 6 იანვარი).

მცხეთობა (სვეტიცხოვლობა, ეკათის დღესასწაული) — 14 ოქტომბერი (ძველი სტილით 1 ოქტომბერი).

მიძინება ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისა (მარიამობა) — 28 აგვისტო (ძველი სტილით 15 აგვისტო).

გიორგობა — 23 ნოემბერი (ძველი სტილით 10 ნოემბერი).

შობა უფლისა ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი — 7 იანვარი (ძველი სტილით 25 დეკემბერი).

ეამოცხადდის აგრეთვე უქმე დღედ მიცვალებულთა მოხსენიების დღე (აღდგომის მეორე დღე, ორშაბათი, თარიღი გარდამავალია).

4. კანონი ძალაში შედის მიღებისთანავე.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია.

თბილისი, 1990 წლის 22 ნოემბერი.
№ 58—I ს.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება

342 საქართველოს რესპუბლიკის ახალი კონსტიტუციის პროექტის მოამზადების თაობაზე

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

შეიქმნას საქართველოს რესპუბლიკის ახალი კონსტიტუციის პროექტის მოსამზადებელი კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომისიის თავმჯდომარე

ზვიად კონსტანტინეს ძე გამსახურდია

კომისიის წევრები:

გივი ჩიტოს ძე თაქთაქიშვილი
თედო შალვას ძე პაატაშვილი
ბაკურ დავითის ძე გულუა
ირაკლი ოთარის ძე ჩხეიძე
თემურ აკაკის ძე ქორიძე
რობერტ მელენტის ძე პეტრიაშვილი
ვაჟა გიორგის ძე ადამია
ნუგზარ არჩილის ძე მოლოდინაშვილი
ტარიელ ამირანის ძე გელანტია
შალვა გიორგის ძე აბზიანიძე
დავით ბიჭიკოს ძე კუპრეიშვილი
ავთანდილ დიმიტრის ძე პაპიაშვილი
ვიქტორ პეტრეს ძე დომუხოვსკი
ალექსანდრე გიორგის ძე ქობულაშვილი
ოამაზ ვალერიანის ძე გამყრელიძე
ნოდარ რევაზის ძე ნათაძე
ირაკლი გიორგის ძე შენგელაია
ვახტანგ იულიონის ძე ხმალაძე
ჯონი გრიგოლის ძე ხეცურიანი
ლევან ანდრიას ძე ალექსიძე
თამაზ გრიგოლის ძე შავგულიძე
იაკობ ვალერიანის ძე ფუტკარაძე
ლადო ლუდოვიკოს ძე ჭანტურია
თედო გიორგის ძე ნინიძე
ოენგიზ ალექსანდრეს ძე ლილუაშვილი
სერგო მანასეს ძე ჯორბენაძე
ვაჟა ბორისის ძე აბაკელია
ავთანდილ ვლადიმერის ძე დემეტრაშვილი
შინდია ეურამის ძე უგრეხელიძე
მირიან შოთას ძე მირიანაშვილი
მალხაზ ტარიელის ძე კვანჭილაშვილი
ავთანდილ პეტრეს ძე საყვარელიძე
ეზექალა აკაკის ასული შანიძე
იოსებ ზურაბის ძე ბარათაშვილი
ვახტანგ ვლადიმერის ძე აბაშმაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი გელას ძე **გულბანი**
დილარ მიხეილის ძე **ხაბულიანი**
არჩილ არჩილის ძე **ჭირაქაძე**
ალექსანდრე გიორგის ძე **სვანიშვილი**
დავით ჯოველის ძე **უსუფაშვილი**
ნუგზარ ბორისის ძე **ელიავა.**

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია.

თბილისი, 1990 წლის 22 ნოემბერი.
№ 59—I ს.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება

343 სამედიცინო ინსტიტუტში აბიტურიენტთა ჩარიცხვასთან დაკავშირებული საკითხების გამომკვლევი კომისიის შექმნის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**
შეიქმნას სამედიცინო ინსტიტუტში აბიტურიენტთა ჩარიცხვასთან დაკავშირებული საკითხების გამომკვლევი კომისია.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია.

თბილისი, 1990 წლის 22 ნოემბერი.
№ 61—I ს.

განკოფილება მეორე

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

344 გ. შ. ციციშვილისათვის „საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის“ საპატიო ფოდების მინიჭების შესახებ

ხანგრძლივი ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისა და მეცნიერთა კადრების აღზრდისათვის საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენისა და ლიტერატურის განყოფილების **აკადემიკოს**-მდივანს გიორგი შალვას ძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციციშვილს მიენიჭოს „საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის“ საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. გუმბარიძე.
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 6 ნოემბერი.
№ 2863—XI

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

345 ვ. მ. გულიასათვის „საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ქართული ქორეოგრაფიის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისა და ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში მნიშვნელოვანი წვლილისათვის ზუგდიდის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლ „ჩელას“ მთავარ ქორეოგრაფსა და ქორეოგრაფიული სტუდიის სამხატვრო ხელმძღვანელს ვახტანგ მიხეილის ძე ბულიას მიენიჭოს „საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის“ წოდება.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. გუმბარიძე.
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 6 ნოემბერი.
№ 2864—XI

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

346 გ. გ. ნადარეიშვილისათვის „საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

საქართველოში ტექნიკური ესთეტიკის განვითარებისა და ქართველ დიზაინერ-გრაფიკოსთა სკოლის ჩამოყალიბების საქმეში თვალსაჩინო წვლილისათვის ტექნიკური ესთეტიკის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის დირექტორს გაბრიელ გაბრიელის ძე ნადარეიშვილს მიენ

ნიშნის „საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის“ საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. გუმბარიძე.
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 6 ნოემბერი.
№ 2865—XI

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

347 ვ. ვ. ჯორჯიკიასათვის „საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ქართული ვოკალური ხელოვნების განვითარებისა და მოსწავლეთა ესთეტიკური აღზრდის საქმეში მნიშვნელოვანი წვლილისათვის ზუგდიდის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლ „ჩელას“ ლოტბარს ვახტანგ ვლადიმერის ძე ჯორჯიკიას მიენიჭოს „საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის“ საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. გუმბარიძე.
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 6 ნოემბერი.
№ 2866—XI

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

348 გ. მ. ხაჯარაძისათვის „საქართველოს სსრ მრეწველობის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

რესპუბლიკის პუროპროდუქტების სამინისტროს სისტემაში ხანგრძლივი, ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს სსრ პუროპროდუქტების სამინისტროს ქუთაისის პურის მიმღები საწარმოს დირექტორს გივი მიხეილის ძე ხაჯარაძეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიენიჭოს „საქართველოს სსრ მრეწველობის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. გუმბარიძე.
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 6 ნოემბერი.
№ 2867—XI

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

349 ა. ჯ. ინაიშვილისათვის „საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

სამკურნალწამლო მცენარეთა დამზადებისა და მათი ახალი ჯიშების გამოყვანის საქმეში წვლილისათვის ქობულეთის სამკურნალწამლო მცენარეთა საბჭოთა მეურნეობის დირექტორს ასლან ჯემალის ძე **ინაიშვილს** მიენიჭოს „საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. გუმბარიძე.
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 6 ნოემბერი.
№ 2868—XI

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

350 ფოთის ვ. გუნიას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობთათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ქართული თეატრალური ხელოვნების განვითარების დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის ფოთის ვ. გუნიას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობებს მიენიჭოთ „საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის“ საპატიო წოდება:

ოთარ არისტრახის ძე **მირცხულავას** — მსახიობს
მზისადარ გრიგოლის ასულ **სვანიძეს** — მსახიობს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზაურ ალექსანდრეს ძე **ჯანელიძეს** — მსახიობს
რევაზ ვენედიქტეს ძე **ქინქლაძეს** — მსახიობს.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. გუმბარიძე.
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 6 ნოემბერი.
№ 2869—XI

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

351 ბ. ვ. გაგუნიასათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული გამომგონებლისა და რაციონალიზატორის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ხანგრძლივი ნაყოფიერი საგამომგონებლო და რაციონალიზატორული საქმიანობისათვის საქართველოს გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოთა საწარმოო გაერთიანება „საქგეოლოგიის“ თერმული წყლების საძიებო ღრმა ბურღვის ექსპედიციის მთავარ ინჟინერს გურამ ვარლამის ძე **გაგუნიას** მიენიჭოს **„საქართველოს სსრ დამსახურებული გამომგონებლისა და რაციონალიზატორის“** საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. გუმბარიძე.
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 6 ნოემბერი.
№ 2870—XI

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

352 ვ. დ. გულორდავასათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

საგეგმო-საფინანსო-საბიუჯეტო ორგანოებში ხანგრძლივი, ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს სსრ პუბლიკოდუქტების სამინისტროს ზუგდიდის პუბლიკოდუქტების კომბინატის დირექტორს ვლადიმერ დიანოზის ძე **გულორ-**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავას მიენიჭოს „საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტის“ საპატიო წოდება

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. გუმბარიძე.
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 6 ნოემბერი.
№ 2871—XI

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

353 ნ. გ. ვარაზაშვილისათვის „საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ხანგრძლივი ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისა და მეცნიერთა კადრების მომზადებისათვის საქართველოს ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ლაბორატორიის ხელმძღვანელს პროფესორ ნინო გიორგის ასულ **ვარაზაშვილს** მიენიჭოს „**საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის**“ საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. გუმბარიძე.
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 8 ნოემბერი.
№ 2873—XI

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

354 „საქართველოს სსრ მრეწველობის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

მრეწველობის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის „**საქართველოს სსრ მრეწველობის დამსახურებული მუშაკის**“ საპატიო წოდება მიენიჭოთ:

ვიქტორ ალექსანდრეს ძე **ბერუაშვილს** — სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „მეონის“ მთავარ კონსტრუქტორს.

ანზორ ბიძინას ძე **დემეტრაძეს** — სსრ კავშირის სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტის საქართველოს რესპუბლიკური სამმართველოს ხარისხის განყოფილების **გამგეს.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიანა ლევანის ასულ **დუდუშაურს** — სსრ კავშირის სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტის საქართველოს რესპუბლიკური სამმართველოს ინფორმაციის სამსახურის უფროსს.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ბუმბარიძე.
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 8 ნოემბერი.
№ 2874—XI

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

355 საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ

ქართულ პრესაში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის გაზეთ „კომუნისტის“ ძუშაკებს მივინიჭოთ საპატიო წოდება:

„საქართველოს სსრ დამსახურებული ჟურნალისტი“

ზოთა პავლეს ძე **ამაშუკელს** — განყოფილების გამგეს.
როლანდ ლევანის ძე **ბასილაშვილს** — უფროს კორესპონდენტს.
ლაშა კაპიტონის ძე **გახარიას** — პასუხისმგებელ მდივანს.
ანაბელა (ბელა) აგალოს ასულ **დურგლიშვილს** — კორესპონდენტს.
გურამ გრიგოლის ძე **ვაშაკიძეს** — საკუთარ კორესპონდენტს.
ბეგლარ მოსეს ძე **ჩხაიძეს** — საკუთარ კორესპონდენტს.
ჯემალ ალექსანდრეს ძე **ქურხულს** — განყოფილების გამგეს.
გურამ ვლადიმერის ძე **ხარაიძეს** — განყოფილების გამგეს.

„საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი“

ალექსანდრა სოლომონის ასულ **არეშიძეს** — მბეჭდავ მემანქანეთა ბიუროს უფროსს.
ანასტასია არჩილის ასულ **ბედოევას** — რედაქციის გამგეს.
დოროთეა გრიგოლის ასულ **ბერიძეს** — უფროს კორექტორს.
ლაურა ლევანის ასულ **ძეძამიძეს** — კორესპონდენტს.
მარატ დავითის ძე **ღვალაძეს** — განყოფილების გამგეს.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ბუმბარიძე.
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 8 ნოემბერი.
№ 2875—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

356 „საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

კულტურის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის **„საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის“** საპატიო წოდება მიენიჭოთ:

იუზა აპოლონის ძე **გვეტაძეს** — საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების ქუთაისის საქალაქო ორგანიზაციის პასუხისმგებელ მდივანს.

კუკური ჭიჭიკოს ძე **თორდიას** — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის ფილიალის — სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმის უფროს მეცნიერ თანამშრომელს.

თამარ კონსტანტინეს ასულ **ტყაბლაძეს** — ქ. წყალტუბოს სახელმწიფო არქივის განყოფილების გამგეს.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. გუმბარიძე.
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 8 ნოემბერი.
№ 2876—XI

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

357 ვ. მ. გოგიშვილის საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სასოფლო საბჭოს აღმასკომში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის სამტრედიის რაიონის სოფელ ოფეთის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ვლადიმერ მელიტონის ძე **გოგიშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. გუმბარიძე.
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 8 ნოემბერი.
№ 2877—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება მესამე

საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს პირველი სესია

(1990 წლის 14-15 ნოემბერი)

14 ნოემბერს საქართველოს უზენაესი საბჭოს სხდომათა დარბაზში მუშაობას შეუდგა რესპუბლიკის პირველი მოწვევის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს პირველი სესია. ახალ დეპუტატთა კორპუსთან ერთად, ორმელიც გასაბჭოების შემდეგ პირველად იქნა არჩეული მრავალპარტიულ საფუძველზე, აქ პოწვეული იყვნენ არჩევნების მონაწილე ყველა პოლიტიკური პარტიისა და ბლოკის ხელმძღვანელები.

სესია დაიწყო სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, უწმინდესი და უოეტარესი ილია მეორის ლოცვა-კურთხევით. პატრიარქმა დეპუტატებს დაულოცა საქართველოს ერთობისა და დამოუკიდებლობის სასიკეთო მოღვაწეობის გზა, აღავლინა ლოცვა და სიჩუქრად უძღვნა ახალ უზენაეს საბჭოს ბიბლია და იერუსალიმიდან ჩამოსვენებული „აღდგომის“ ხატი.

დეპუტატებმა წუთიერი დუმილით სცეს პატივი ყველა იმათგანის ხსოვნას, ვინც საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში დაიღუპა.

შემდეგ სესია მუშაობას შეუდგა. იგი გახსნა ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ჟორდანიამ, ორმელმაც შეკრებილთ მოახსენა საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების შედეგები.

სესიამ აირჩია ხმის დამთვლელი კომისია, დაამტკიცა უზენაესი საბჭოს სხდომების დროებითი რეგლამენტი.

ირჩევენ სესიის ხელმძღვანელ ორგანოებს: სამდივნოს, სარედაქციო და სამანდატო **კომისიებს.**

სამდივნოს შემადგენლობაში არიან დეპუტატები ალიკო ქობულაშვილი, ეთეო ყაველაძვილი, ძმაანა გაბაშვილი, თემურ ჯანელიძე, ლევარდ ტუნაშვილი, ფოტი ჩიტლოვი, ნუგზარ ძაძალაძე, მერაბ ბალარჯიშვილი და ბეჟან აბესაძე.

სარედაქციო კომისიის წევრებად აირჩიეს დეპუტატები ამირან კალაძე, ნუგზარ მგალობლიშვილი, გურამ პეტრიაშვილი, ნოდარ წულეისკირი, თედო სიხიძე, ალექსანდრე კავსაძე, მინდია უგრეხელიძე.

სამანდატო კომისიაში შევიდნენ დეპუტატები ბიძინა დანგაძე, გია ფირცხალაიშვილი, ავთანდილ პოპიაშვილი, დიმიტრი ქებურია, ლია კაცაძე, ანრი ჟორუაშვილი, რევაზ ციმულარია, სერგი რიგვავა, ბეჟან გონაშვილი, მინდია სალუქვაძე და ტრისტან ხანიაშვილი.

შესვენების შემდეგ სამანდატო კომისიის მოხსენებით გამოვიდა ამ კომისიის თავმჯდომარე დეპუტატი ბიძინა დანგაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უზენაესმა საბჭომ დაამტკიცა ახლად არჩეული დეპუტატების უფლებამოსილება და მიიღო მესაბამისი დადგენილება.

აღტყვა ეძლევა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს დეპუტატ სოდარ ჭითანავას, რომელმაც განაცხადა, რომ მინისტრთა საბჭო იხსნის უფლებამოსილებას ახლად არჩეული საქართველოს უზენაესი საბჭოს წინაშე.

სესიამ ცოცხალ მიიღო ეს გაცხადება და დავალა მთავრობას განაგრძოს დაკისრებულ მოვალეობათა შესრულება, სანამ უზენაესი საბჭო ახალი საქართველოს მინისტრთა საბჭოს აირჩევდეს.

ამის შემდეგ დეპუტატები შეუდგნენ სესიის 14-15 ნოემბრის სხდომების დღის წესრიგის განხილვას. წინადადებებით გამოვიდნენ დეპუტატები ნოდარ ითანაძე და ნუგზარ მოლოდინაშვილი.

დღის წესრიგში შეტანილია შემდეგი საკითხები:

1. უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის არჩევა.
2. დეკლარაცია უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის საპროგრამო განცხადებასთან დაკავშირებით.
3. გარდამავალი პერიოდისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციაში შესაბამის ცვლილებათა შეტანის შესახებ კანონი.
4. მიმართვა მსოფლიოს ხალხებს.
5. მიმართვა ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის პარიზის კონფერენციის მონაწილე ქვეყნების სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურებს.
6. მიმართვა სრულიად საქართველოს.
7. უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის არჩევა.
8. უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობის დაწესება.
9. უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის არჩევა.
10. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის დანიშვნა.
11. უზენაესი საბჭოს მუდმივი კომისიები.
12. უზენაესი საბჭოს მუდმივი კომისიების თავმჯდომარეთა არჩევა.
13. ადამიანის უფლებათა დაცვა და მართლწესრიგის განმტკიცება.
14. შესაბამისი მუდმივი კომისიების მიერ უპირველესი კანონებისა და დადგენილებების შემუშავება.
15. სხვადასხვა.

დღის წესრიგის პირველი პუნქტის გამო წინადადებით გამოვიდა დეპუტატი მუხრან მაჭავარიანი. გამოხატა რა დეპუტატებისა და რესპუბლიკის მოსახლეობის უმრავლესობის ნება, მან წამოაყენა წინადადება აირჩიონ საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველოს“ ბლოკის სპიკერი ზვიად გამსახურდია.

სხვა კანდიდატურები ამ პოსტზე არ დაუსახელებიათ.

გამოცხადდა შესვენება, რომლის შემდეგაც გამოვიდნენ სამდივნოს ხელმძღვანელი დეპუტატი ალიკო ქობულაშვილი, სარედაქციო კომისიის თავმჯდომარე დეპუტატი ამირან კალაძე.

შემდეგ სიტყვა ეძლევა ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარეს დეპუტატ ვახტანგ ჭითავას, რომელმაც გამოაცხადა შესვენების დროს გამართული კენჭისყრის შედეგები.

ფარული კენჭისყრის შედეგად ზვიად გამსახურდია არჩეულია საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ. ერთხმად მტკიცდება ხმის დამთვლელი კომისიის ოქმი.

სესიაზე საპროგრამო განცხადებით გამოვიდა საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი ზვიად გამსახურდია.

შემდეგ დეპუტატები შეუდგნენ რესპუბლიკაში გარდამავალი პერიოდის გამოცხადების შესახებ კანონის პროექტის საკითხის განხილვას.

ამ საკითხზე თავიანთი მოსაზრებები გამოთქვეს დეპუტატებმა დავით კუპრეიშვილმა, სერგი რიგვავამ, თემურ ქორიძემ, გიზო კორძაძემ, ნუგზარ მოლოდინაშვილმა, ნოდარ ნათაძემ, ივთანდილ იმნაძემ, აპოლონ სილავაძემ, ლევან ალექსიძემ, შალვა წინწალაშვილმა, მინდია სალუქვაძემ, რომან გოცირიძემ, დავით ბერძენიშვილმა, გოგი გულბანმა, თამაზ დიასამიძემ, თამაზ გამყრელიძემ და სხვებმა.

უზენაესმა საბჭომ მიიღო საქართველოს სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღსადგენად რესპუბლიკაში გარდამავალი პერიოდის გამოცხადების შესახებ კანონი, შეიტანა შესაბამისი ცვლილებანი რესპუბლიკის კონსტიტუციაში.

დეპუტატებმა განიხილეს და ერთხმად მიიღეს რესპუბლიკის სახელწოდების შეცვლის შესახებ კანონი. ამიერიდან მას საქართველოს რესპუბლიკა ეწოდება.

სახელმწიფო გერბის, დროშის, რესპუბლიკის ჰიმნის კანონპროექტები დამსწრეთ გააცნო დეპუტატმა ნუგზარ მოლოდინაშვილმა.

ამ პროექტებთან დაკავშირებით თავიანთი აზრი გამოთქვეს დეპუტატებმა არჩილ მინდიაშვილმა, ივთანდილ იმნაძემ, ვიქტორ დომუხოვსკიმ, ზვიად ძიძიგურმა, უშანგ ტურაშვილმა, თენგიზ ბეკაშვილმა, დავით არეკვაძემ, როინ მეტრეველმა.

სესიამ დაამტკიცა საქართველოს რესპუბლიკის ახალი ატრიბუტიკა.

უზენაესმა საბჭომ მიიღო მიმართვები: მსოფლიოს ხალხებისადმი, ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მონაწილე ქვეყნების სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების პარიზის კონფერენციისადმი, სრულიად საქართველოსადმი.

ქართველ ოფიცერთა რესპუბლიკური ეროვნული გაერთიანების სახელით სესიის მონაწილეებს მიესალმა ამ გაერთიანების შტაბის უფროსი დურუ ჭითანავა.

ბაზრეთ „სამშობლოს“ რედაქტორმა პაატა ნაცვლიშვილმა დეპუტატებს გააცნო ქაქუცა ჩოლოყაშვილის თანამებრძოლის — ალექსანდრე სულხანიშვილის ანდერძი. ქართველმა ხალხმა სულ რამდენიმე დღის წინ მიაბარა მიწას დიდი მამულიშვილის ნეშტი, რომელიც 66 წელიწადს იყო უცხოეთის გადახვეწილი. მან დატოვა ანდერძი, რომ ქაქუცას დროშა ახლად არჩეულ პარლამენტს მიეღო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მადლიერმა შთამომავლებმა შეასრულეს დიდებული წინაპრის დანაბარები. პატარებმა გიორგი გამსახურდიამ და არჩილ მოლოდინაშვილმა დარბაზში შემოიტანეს საქართველოს რესპუბლიკისა და ქაქუცას დროშები.

საზეიმოდ ქუერს კოტე ფოცხვერაშვილის „დიდება“ . . . . ყველანი ფეხზე დგებიან.

ამით სესიის მუშაობის პირველი დღე დასრულდა.

●

* *

15 ნოემბერს საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს პირველმა სესიამ განაგრძო მუშაობა. სესიის სხდომას თავმჯდომარეობდა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი ზვიად გამსახურდია.

დეპუტატებმა განიხილეს და მიიღეს კანონი საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობის შემოღების შესახებ. ამასთან დაკავშირებით საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში (ძირითად კანონში) შეტანილ იქნა შესაბამისი ცვლილებანი და დამატებანი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის პოსტზე შემოთავაზებული იყო ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის თავმჯდომარის, „მრგვალი მაგიდის“ წევრის დეპუტატ აკაკი ასათიანის კანდიდატურა.

ამ კანდიდატურის განხილვაში მონაწილეობდნენ დეპუტატები ნათელა ქუთელია, ლოვარდ ტუხაშვილი, გურამ პეტრიაშვილი, შალვა წინწალაშვილი.

სესიაზე გამოსულმა აკაკი ასათიანმა დეპუტატებს გააცნო თავისი ბიოგრაფია, უპასუხა კითხვებზე.

სესიამ ერთხმად აირჩია დეპუტატი აკაკი ასათიანი საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ.

როგორც ცნობილია, უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის თანამდებობა გათვალისწინებული აღარ არის საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციით. უზენაესი საბჭოს და მისი აპარატის საქმიანობის ორგანიზაციისათვის მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული შემოიღონ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობა.

ამ თანამდებობაზე შემოთავაზებული იყო „მრგვალი მაგიდის“ წევრის დეპუტატ ნემო ბურჭულაძის კანდიდატურა.

შემოთავაზებული კანდიდატურის გამო თავიანთი აზრი გამოთქვეს დეპუტატებმა ავთანდილ იმნაძემ, ირინე ტალიაშვილმა, ავთანდილ კვეტენაძემ.

სესიამ ერთხმად აირჩია დეპუტატი ნემო ბურჭულაძე უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემდეგ დეპუტატები შეუდგნენ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის დანიშვნის საკითხის განხილვას.

ამ პოსტზე შემოთავაზებული იყო „მრგვალი მაგიდის“ წევრის, სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების პრეზიდენტის დეპუტატ თენგიზ სიგუას კანდიდატურა.

შემოთავაზებული კანდიდატურის განხილვაში მონაწილეობდნენ დეპუტატები გურამ მაქაცარია, ნიკოლოზ ხაჭაპურიძე, თენგიზ კიტოვანი, გურამ ქაშაკაშვილი, როინ მეტრეველი, მინდია სალუქვაძე, პაატა კოღუაშვილი, მერაბ ბალარჯიშვილი.

სესიაზე გამოსულმა დეპუტატმა თენგიზ სიგუამ გააკეთა საპროგრამო განცხადება, უპასუხა კითხვებზე.

უზენაესმა საბჭომ ერთხმად დანიშნა დეპუტატი თენგიზ სიგუა საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ. მას დაეალა წარმოუდგინოს უზენაეს საბჭოს წინადადებანი რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს სტრუქტურისა და პერსონალური შემადგენლობის შესახებ, ხოლო უზენაესი საბჭოს შესაბამის მუდმივ კომისიებს დაეალოთ წარუდგინონ უზენაეს საბჭოს დასკვნები მთავრობის სტრუქტურისა და პერსონალური შემადგენლობის თაობაზე.

სესიაზე მორიგი სხდომის დაწყების წინ დეპუტატებმა წუთიერი დუმილით სცეს პატივი საქართველოს ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის გმირის მერაბ კოსტავას ხსოვნას.

ტრიბუნაზე მიწვეული გმირის დედა ოლღა დემურია-კოსტავა გულთბილად მიესალმა ახალი უზენაესი საბჭოს დეპუტატებს და დალოცა ისინი.

შემდეგ სიტყვა მიეცა დემოკრატიული საქართველოს პირველი პრეზიდენტის ნოე ჟორდანიას ვაჟს რეჯებ ჟორდანიას.

ამის შემდეგ სესია შეუდგა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მუდმივი კომისიების საკითხის განხილვას.

შემოვიდა წინადადება შეიქმნას 9 ასეთი კომისია. ამ საკითხის განხილვაში მონაწილეობდნენ დეპუტატები ნოდარ ნათაძე, ნიკოლოზ ხაჭაპურიძე, რომან გოცირიძე, დავით კუპრეიშვილი, ელდარ შენგელაია, ავთანდილ მარგიანი.

კახეთის მთელ რიგ რაიონებში წარმოშობილი რთული ოპერატიული ვითარების შესახებ საგანგებო ინფორმაციით გამოვიდა რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს სისხლის სამართლის სამმართველოს უფროსი გრიგოლ შონია. სესიამ შექმნილი სიტუაციის ოპერატიული განხილვისათვის ჩამოაყალიბა დეპუტატთა ჯგუფი ახალი პარლამენტის პოლიტიკური პარტიებისა და ორგანიზაციების წარმომადგენლებისაგან.

შემდეგ გაგრძელდა მუდმივი კომისიების საკითხის განხილვა. მასში მონაწილეობდნენ დეპუტატები ალიკო მელაძე, პაატა კოღუაშვილი, მინდია უგრეხელიძე, ნუგზარ მგალობლიშვილი, დავით გოგუაძე.

დეპუტატებმა მიიღეს გადაწყვეტილება უზენაესი საბჭოს მუდმივი კომისიების შექმნის შესახებ, აირჩიეს ამ კომისიათა თავმჯდომარეები: **კანონმდებ-**

№ 11
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლობისა და კანონიერების დაცვისა — დეპუტატი ნუგზარ მოლოდინაშვილი, საფინანსო-საბიუჯეტოსა — დეპუტატი ტარიელ გელანტია, ეკონომიკური რეფორმისა — დეპუტატი გივი თაქთაქიშვილი, ჰუმანიტარულ და სოციალურ საკითხთა — დეპუტატი როზერტ პეტრიაშვილი, მრეწველობის, ენერგეტიკის, შშენებლობის, ტრანსპორტის და კავშირგაბმულობისა — დეპუტატი ბაკურ გულუა, სოფლის მეურნეობის, მიწათსარგებლობის და ეკოლოგიისა — დეპუტატი ირაკლი ჩხეიძე, საერთაშორისო ურთიერთობებისა — დეპუტატი თეიდო პაატაშვილი, საზოგადოებრივი წესრიგის და სახელმწიფო უშიშროების დაცვისა — დეპუტატი ვაჟა ადამია, კულტურის, განათლების და მეცნიერების — დეპუტატი თემურ ქორიძე.

მუდმივი კომისიების თავმჯდომარეებს დაევალათ წარმოადგინონ წინადადებანი მათი კომისიების პერსონალური შემადგენლობის შესახებ. უზენაესი საბჭოს მუდმივ კომისიებს ასევე დაევალათ შეიმუშაონ პირველი რიგის კანონებისა და დადგენილებების პროექტები, რათა წარუდგინონ ისინი საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პირველ სესიას.

უზენაესმა საბჭომ დამტკიცა კანონი საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში ზოგიერთი ცვლილების შეტანის შესახებ.

მღებარეობა დადგენილება ახალი კონსტიტუციის პროექტის მოსამზადებელი კომისიის შექმნის შესახებ. ამასთან დაკავშირებით პოლიტიკურ პარტიებს დაევალათ წარმოადგინონ წინადადებანი ამ კომისიის პერსონალური შემადგენლობის თაობაზე.

შემდეგ დეპუტატმა თამაზ ობგაძემ სესიის მონაწილეებს გააცნო ადამიანის უფლებათა დაცვისა და მართლწესრიგის განმტკიცების შესახებ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილების პროექტი, რომელიც ერთხმად მიიღეს.

სესიამ განიხილა და მიიღო კანონი საქართველოს ტერიტორიაზე ნამდვილი სამხედრო სამსახურის შესახებ სსრ კავშირის კანონის მოქმედების თაობაზე.

სესიაზე გამოვიდნენ ქართველ შეკარდენთა ლეგიონის მეთაური ელგუჯა წიკლაური, კ. ნ. ლიხელიძის სახელობის რესპუბლიკური საშუალო სპეცსკოლა-ინტერნატის კურსანტი კახაბერ ნაკანი.

გამოცხადდა გადაწყვეტილება შექმნას უზენაესი საბჭოს პრეზიდენტი, ავრეთვე ჩამოყალიბდეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოსთან ინფორმაციისა და პროგნოზირების ცენტრი.

კახეთის მთელ რიგ რაიონებში რთულ ოპერატიულ ვითარებასთან დაკავშირებით შექმნილი დეპუტატთა ჯგუფის სახელით გამოვიდა დეპუტატი არჩილ მინდიაშვილი. მან დამსწრეთ გააცნო ამ ჯგუფის მუშაობის პირველი შედეგები, გამოთქვა მთელი რიგი კონკრეტული წინადადებანი. უზენაესმა საბჭომ დეპუტატთა ჯგუფს დაავალა განაგრძოს დაწყებული მუშაობა, გამოთქვა რწმენა, რომ წარმოშობილი კონფლიქტური სიტუაცია მოწესრიგდება კონსტრუქციული დიალოგის გზით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების სხვადასხვა საკითხსა და პრობლემასთან დაკავშირებით გამოვიდნენ დეპუტატები გურამ პეტრიაშვილი, ვიქტორ დომუხოვსკი, ალიკო ქობულაშვილი, ნოდარ ნათაძე, ავთანდილ იმნაძე, ზაალ კახიანი, გელა ჩორგოლაშვილი, ალექსანდრე ჟღენტი.

დეპუტატებმა წუთიერი დუმილით სცეს პატივი წინა დღით გარდაცვლილი საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ვეტერანის, „მრგვალი მაგიდის“ წევრის პოლიო გეგელიას ხსოვნას.

საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს პირველი სესია უახლოეს ხანს განაგრძობს მუშაობას.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პირველი მოწვევის პირველ სესიაზე მიღებული მიმართვები

მ ი მ ა რ თ ვ ა

სრულიად საქართველოსადმი

ძვირფასო თანამემამულენო!

1990 წლის 14 ნოემბერს თავისი ძნელი, მაგრამ ფრიად საპატიო მოვალეობის აღსრულებას შეუდგა დემოკრატიული წესით არჩეული მრავალპარტიული ეროვნული პარლამენტი. საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის მიერ ნდობის მანდატით აღჭურვილი ეს უზენაესი საკანონმდებლო ორგანო უეჭველად იქნება ჩვენი ეროვნული ნებისა და მისწრაფებების ჭეშმარიტი გამომხატველი.

გრძნობს რა შექმნილი მდგომარეობის ისტორიულ მნიშვნელობას, საქართველოს უზენაესი საბჭო თავის უპირველეს ამოცანად მიიჩნევს დაუღალავად იღვაწოს გარდამავალი პერიოდის სპეციფიკით ნაკარნახევ პრობლემათა გადაჭრისა და ქვეყანაში შექმნილი მრავალმხრივი კრიზისის დაძლევისათვის. სწორედ ამ გზით უნდა შეეამზადოთ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის აუცილებელი რეალური საფუძველი.

ერისა და პიროვნების სრული თავისუფლების დამკვიდრება ყოველი ჩვენგანის სანუკვარ მიზანს წარმოადგენს. მაგრამ აღნიშნული მიზნის მიღწევა შეუძლებელია ეროვნული თანხმობის, ურთიერთთანადგომისა და ურთიერთპატივისცემის გარეშე.

საქართველოს კეთილდღეობისათვის დღეს ჰაერივით საჭიროა ერთიანობა და სიმტკიცე, შემწყნარებლობა და მიმტევებლობა, ნებისმიერ პარტიულზე მაღლა ეროვნული ინტერესების დაყენება.

ჩვენ, პარლამენტში არჩეული სხვადასხვა პარტიების წარმომადგენლები, საჯაროდ ვაცხადებთ, რომ განუხრელად ვიხელმძღვანელებთ საერთო ეროვნუ-

№ 11
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლი და არა ლოკალურ-პარტიული მოტივებით. ამგვარივე მოწოდებით მივმართავთ საქართველოში არსებულ ყველა პოლიტიკურ ორგანიზაციას.

ამჟამად, დამოუკიდებლობის გზაზე მდგომ საქართველოში ფაქტობრივად არ არსებობს შუღლისა და ურთიერთდაპირისპირების რამდენადმე სერიოზული მიზეზი. საზოგადოებრივი ცხოვრების დემოკრატიზაციის შეუქცევადი პროცესი სრულად უზრუნველყოფს პიროვნების უფლებათა ხელშეუხებლობის, ყველა სოციალური ფენის ინტერესთა დაცვასა და ეროვნულ უმცირესობათა ყოველმხრივ განვითარებას.

საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორია ნათელყოფს, რომ ჩვენში არასოდეს შელახულა ამა თუ იმ ეროვნების ინტერესები. ამჟამადაც გარანტირებულია მათი შეუვალობის ყველა პირობა, მათ შორის ავტონომიურ უფლებათა აღიარება და პატივისცემა.

თანამემამულენო!

საქართველოს უზენაესი საბჭო მიმართავს ყველას, ვისაც გულწრფელად აფიქრებს სამშობლოს ბედი, დადგეს ეროვნული შერიგების პოზიციაზე. მხოლოდ მტკიცე თანხმობა და ერთიანობა იხსნის საქართველოს, მიგვიყვანს ჭეშმარიტ დამოუკიდებლობამდე. ძმათა შორის შუღლის ჩამოგდება ახლა ღალატის ტოლფასია. ერთიანი საქართველო უნდა იყოს თითოეული ჩვენგანის უპირველესი საზრუნავი. ამ ერთიანობის მისაღწევად წმინდა ილია მართალმა თავის დროზე ნათელმხილველის კეთილგონიერებით მოგვწოდა:

„მოვიკლათ წარსულ დროებზე დარდი
ჩვენ უნდა ვსდიოთ ახლა სხვა ცარსკვლავს“.....

დაე ჩვენც, ახლანდელ ქართველობას, გვიღვიოდეს სურვილი წარსულზე ამაღლებისა, თავისტომის სიყვარულისა და უფლის ერთგულებისა.

ღმერთი იყოს სრულიად საქართველოს მფარველი!

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო

თბილისი.
1990 წლის 14 ნოემბერი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

მ ი მ ა რ თ ვ ა

მსოფლიო ხალხებისადმი

მსოფლიოს მოწინავე სახელმწიფოთა ერთობლივმა ძალისხმევამ შესაძლებელი გახადა ტოტალიტარული რეჟიმების ქვეყნებში დემოკრატიული პროცესების განვითარება. აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებში მიმდინარე მოვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლენები ცხადყოფს თანამედროვე პირობებში უკიდურესი სისასტიკის რეჟიმების თანდათანობითი, ევოლუციური გზით შეცვლის რეალურ შესაძლებლობას, რაც უდავოდ პროგრესული პოლიტიკური ძალების დამსახურებად უნდა ჩაითვალოს. ამ პირობებში საქართველოში დემოკრატიული ოპოზიციისა და მოსახლეობის ძალისხმევით შესაძლებელი გახდა საბჭოთა კავშირში უპრეცედენტო დემოკრატიული, მრავალპარტიული არჩევნების ჩატარება. არჩევნები დასავლეთის დამოუკიდებელ ექსპერტთა მეთვალყურეობით მიმდინარეობდა. გადამწყვეტი უპირატესობა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლმა დემოკრატიულმა ძალებმა მოიპოვეს.

საქართველო უკანასკნელ დრომდე დასავლეთისათვის უაღრესად საშიში ზესახელმწიფოს უპირობო ნაწილს წარმოადგენს. ამდენად, კარგად გვესმის, რომ საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის ბრძოლა ერთობ გართულდება, თუკი იგი დაუპირისპირდება დასავლეთისა და აღმოსავლეთის დაახლოების პროცესს. ეს პროცესები პოზიტიური დემოკრატიული ნიშნით ვითარდება და სასურველია მოხერხდეს მათი ურთიერთშეთავსება.

საქართველოს მრავალპარტიული უზენაესი საბჭო სახელმწიფოებრიობის აღდგენის ეტაპობრივ პროცესს განიხილავს როგორც ამიერკავკასიასა თუ აღმოსავლეთ ევროპის რეგიონში სტაბილიზაციის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს, რამეთუ საქართველოს, ისევე როგორც ბალტიის რესპუბლიკების, ხელოვნური გაერთიანება თუნდაც განახლებული საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში, აუცილებლად გამოიწვევს ამ რესპუბლიკებში სოციალური და პოლიტიკური მდგომარეობის დესტაბილიზაციას.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო წარმოადგენს გარდამავალი პერიოდის ხელისუფლების ორგანოს და მიზნად ისახავს 1921 წლის თებერვალ-მარტში შეიარაღებული აგრესიის შედეგად დაკარგული სახელმწიფოებრიობის აღდგენას. ჩვენ არ ვაპირებთ არც რომელიმე სახელმწიფოსა და არც საქართველოში მცხოვრებ რომელიმე ეროვნებასთან დაპირისპირებას. ეს არის გზა, რომლითაც გარანტირებული იქნება საქართველოში ადამიანის, მოქალაქის, ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დაცვა.

ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ საქართველო, გახდება რა მსოფლიოს თავისუფალ სახელმწიფოთა ოჯახის წევრი, თავის წვლილს შეიტანს სამართლიანი და ჰარმონიული მსოფლიოს შექმნაში. ამ გზაზე კი სხვა სახელმწიფოთაგან სოლიდარობისა და მხარდაჭერის იმედი გვაქვს.

ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი!

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო

თბილისი.

1990 წლის 14 ნოემბერი.

№ 11
ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

მ ი მ ა რ თ ვ ა

ევროპაში უფიფრიოებისა და თანამშრომლობის თათბირის მონაწილე ქვეყნების სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების პარიზის კონფერენციისადმი

ჰელსინკის თათბირმა, მისმა დასკვნითმა აქტმა თავისუფლებას მოწყურებულ ხალხებს ჩაუსახა იმედი, რომელსაც კიდევ დიდხანს არ ეწერა ასრულება. ჰელსინკიში დაწყებული მრავალმხრივი პროცესი დღეს თანდათანობით კონკრეტული შინაარსით ივსება, კანონიერ ძალას იძენს ვალდებულებანი, რომლებსაც მხოლოდ იმიტომ უგულებელყოფდნენ, რომ ისინი თვით ტოტალიტარიზმის ბუხებას ეწინააღმდეგება. თანდათანობით მართლდება იმედი, რომ ამ ფორუმს ძალუძს საქმით დაამტკიცოს დასკვნითი აქტის, სხვა დოკუმენტების ქმედუნარიანობა, რეალურად განახორციელოს ევროპის ხალხების თანასწორუფლებიანობა და ერთიანობა, მათი უსაფრთხო და ბედნიერი თანაცხოვრება.

სიმბოლურია, რომ პროგრესული ძალები და ცალკეული ადამიანები, რომლებიც საკუთარი კეთილდღეობის, ხშირად თავისუფლების დაკარგვის, სიცოცხლის ფასადაც კი ღებულობენ თავიანთ ქვეყნებში ჰელსინკის იდეებისა და პრინციპების დამკვიდრებისა და განხორციელებისათვის, დღეს უკვე ოპოზიციას აღარ წარმოადგენენ, უფრო მეტიც — თავისი ხალხის თავისუფლად გამოხატული ნების შესაბამისად უზენაეს ხელისუფლებას განასახიერებენ და საერთაშორისო ალიარებით სარგებლობენ.

1921 წელს განხორციელებული შეიარაღებული აგრესიის შედეგად ოკუპირებულმა და ფაქტობრივად ანექსირებულმა საქართველომ პირველად 70 წლის მანძილზე დემოკრატიული და მრავალპარტიული არჩევნების საფუძველზე მოიპოვა შესაძლებლობა აერჩია ის გზა, რომელმაც იგი ევროპის ხალხების ოჯახში უნდა დააბრუნოს. ეს იქნება რთული, წინაარმდეგობებით აღსავსე გზა და საქართველოს უზენაეს საბჭოს კარგად აქვს გაცნობიერებული, რომ რესპუბლიკის ლტოლვა სრული დამოუკიდებლობისაკენ არ უნდა იქცეს ევროპაში სტაბილურობის დარღვევის ფაქტორად, უფრო მეტიც, საქართველომ თავისი წვლილი უნდა შეიტანოს რეგიონალურ დონეზე უსაფრთხოების უზრუნველყოფასა და თანამშრომლობის განვითარებაში, რაც საბოლოო ჯამში ევროპული ინტეგრაციის პროცესებს წაადგება.

დიდია პასუხისმგებლობა, რომელიც ევროპისა და მსოფლიოს ხალხების მომავლის გადაწყვეტილისათვის ეკისრებათ პარიზის კონფერენციაში მონაწილე სახელმწიფოების ლიდერებს. პარიზში მიღებული ყოველი გადაწყვეტილება მიმდინარე ცვლილებების რეალურად აღქმის სულისკვეთებით უნდა იყოს გაჯერებული, ვინაიდან დადგა ის დღე, როდესაც იზრდება ჰელსინკის პროცესში მონაწილეობის პრეტენდენტთა რიცხვი. სწორედ ამ დროს წამოიწევს წინა პლანზე კონსენსუსის ფუძემდებლური პრინციპი, რომელმაც ჰელსინკის პროცესში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი საერთაშორისო სამართალსუბიექტების ჩართვა და შესაბამისად მისი თვისებრივად ახალ დონეზე აყვანა უმტკივნეულოდ უნდა უზრუნველყოს.

მშვიდობიანი გზით გერმანიის გაერთიანების დღეს უკვე რეალობად ქცეულმა ფაქტმა ნათელჰყო, რომ ჰელსინკის თათბირის დასკვნით აქტში 1975 წელს ჩადებული ღებულება — მოლაპარაკების გზით ევროპის სახელმწიფოთა საზღვრების შეცვლა — განხორციელებადი პროცესია.

ევროპის სახელმწიფოთა შორის საზღვრების გადასინჯვის პროცესი არ დამთავრებულა. ამის თვალნათლივი მაგალითია ჯერაც სსრ კავშირში შემავალი, წარსულში ევროპული ტიპის დემოკრატიული სახელმწიფოებრიობის მქონე საქართველოსა და ბალტიის რესპუბლიკათა ბუნებრივი, სამართლიანი სწრაფვა დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენისაკენ.

თვით ჰელსინკის პროცესის სულისკვეთება — ევროპის ხალხთა თანასწორუფლებიანი, უსაფრთხო თანაარსებობა — ავალებს პარიზის კონფერენციას და მასში მონაწილე ქვეყნების მთავრობებს ისეთივე გულისხმიერება გამოიჩინონ საქართველოს სწრაფვისადმი თავისუფლებისაკენ, როგორსაც იჩენდნენ გერმანიის გაერთიანების პროცესისადმი.

ჰელსინკის ხელშეკრულების დასკვნითი აქტი ავალებს პარიზის კონფერენციის მონაწილე ქვეყნებს იზრუნონ არა მხოლოდ ადამიანის უფლებათა დაცვისათვის, არამედ ერთა თვითგამორკვევისა და თანასწორობისთვისაც: „მონაწილე ქვეყნებმა პატივი უნდა სცენ ერთა თანასწორობასა და მათ უფლებას საკუთარი ბედის განმგებლობისას, მათ გამუდმებით უნდა იმოქმედონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების პრინციპებისა და მიზნების შესაბამისად“.

ჰელსინკიში დაწყებული პროცესის განვითარებას გარკვეული თვალსაზრისით ასახავს და დღევანდელი გადმოსახედიდან რაძდენიმე წინასწარმეტყველურადაც ყღერს 1975 წელს ჰელსინკიში გამოთქმული აზრი: ისტორია ამ თათბირის შესახებ განსჯის არა იმით, თუ რას ვამბობთ დღეს, არამედ იმით, თუ რას ვგავკეთებთ ხვალ, არა იმ დაპირებებით, რომლებსაც ჩვენ ვიძლევით, არამედ იმ დაპირებებით, რომლებსაც შეკასრულებთ. ეს სიტყვები დღესაც აქტუალურია, რამეთუ ისტორიამ მართლაც ყველას თავისი ადგილი მიუჩინა, მაგრამ მრავალმხრივი პროცესი გრძელდება და მომავალი თაობებიც თავიანთ განაჩენს გამოიტანენ.

იმედს გამოვთქვამთ, რომ პარიზის კონფერენცია და ჰელსინკის პროცესში მონაწილე ქვეყნები რეალურად შეაფასებენ საბჭოთა კავშირის ევროპულ ნაწილში მიმდინარე მოვლენებს — წარსულში დემოკრატიული ქვეყნების ხალხთა სამართლიან სწრაფვას სახელმწიფოებრიობის აღდგენისაკენ და ინტეგრაციის ხელოვნური, არასწორი ეტაპებით არ დაამუხრუჭებენ გლობალური ევროინტეგრაციისა და საბოლოო სტაბილიზაციის პროცესს.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო

თბილისი.

1990 წლის 14 ნოემბერი.

№ 11
ეროვნული
ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის პრეზიდენტს მ. ს. გორბაჩოვს

სამოკავშირეო ხელშეკრულების პროექტის თაობაზე

იმსჯელა რა „ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების კონცეფციაზე“, საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს საჭიროდ მიაჩნია განაცხადოს შემდეგი:

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ 1990 წლის 14 ნოემბერს ერთხმად მიიღო კანონი გარდამავალი პერიოდის გამოცხადების შესახებ. კანონი ადასტურებს, რომ 1918 წლის 26 მაისს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახით აღდგენილი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა 1921 წლის თებერვალ-მარტში რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის მიერ ოკუპაციისა და ფაქტობრივი ანექსიის გზით იქნა წართმეული. გამომდინარე ჩამოყალიბებული პოლიტიკური, ეკონომიკური და სამართლებრივი სტრუქტურებიდან, საქართველოს რესპუბლიკა ფაქტობრივად დღესაც რჩება სსრ კავშირის შემადგენლობაში, მაგრამ აღნიშნული სტრუქტურების რეორგანიზაციის გზით ესწრაფვის სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას.

ამ პირობებში საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო შესაძლებლად არ თვლის ხელი მოაწეროს ახალ სამოკავშირეო ხელშეკრულებას და ამით თავის თავზე აიღოს რაიმე ვალდებულება. მხოლოდ როცა მოიპოვებს ნამდვილ დამოუკიდებლობას, მხოლოდ როცა გახდება სახელმწიფო ცხოვრების პოლიტიკურ და სხვა სფეროებში ჭეშმარიტად თავისი ბედის ბატონ-პატრონი და საერთაშორისო სამართლის სრულფასოვანი სუბიექტი, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ქართველმა ხალხმა შეიძლება აღმურავოს რწმენებით ხელი მოაწეროს რაიმე ხელშეკრულებას ნებისმიერ სხვა ქვეყანასთან, რომელიც დაადგენს სახელმწიფოთა კავშირის ამა თუ იმ ფორმას.

ასეთი მიდგომა არ ნიშნავს უარის თქმას ეკონომიკურ, მეცნიერულ-ტექნიკურ, კულტურულ და სხვა სფეროებში ამა თუ იმ ქვეყანასთან თანამშრომლობის ნებისმიერ ფორმაზე, რომელთა უმრავლესობასთანაც საქართველოს კავშირი აქვს საუკუნეების განმავლობაში და დღესაც ნაყოფიერად თანამშრომლობს. ცხადია, რომ ახალ პოლიტიკურ პირობებში ეს თანამშრომლობა უნდა ეყრდნობოდეს თვისებრივად ახალ სამართლებრივ ბაზისს, რომელიც ითვალისწინებს სრულ თანასწორუფლებიანობასა და ურთიერთსარგებლიანობას.

უარს ამბობს რა ნებისმიერ ხელშეკრულებაში მონაწილეობაზე, რომელიც ითვალისწინებს „საკავშირო ორგანოსადმი“ დაქვემდებარების მინიმალურ ვერტიკალურ სტრუქტურასაც კი, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო მზად არის ნაყოფიერი თანამშრომლობისათვის თანასწორუფლებიანი ურთიერთობების საფუძველზე, რაც ასეთი ურთიერთობის მონაწილეთა კეთილდღეობამდე მიგვიყვანს.

ყოველივე ზემოთქმული საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს საფუძველს აძლევს ამ ეტაპზე უარი თქვას „ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის კონცეფციის“ დეტალურად განხილვაზე, რამდენადაც მისი ნებისმიერი ფორმა მიუღებელია საქართველოს რესპუბლიკისათვის, რომელიც ჯერ მხოლოდ სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მიღწევის გზაზე გადამავალი პერიოდის დასაწყისში იმყოფება.

ეს განცხადება მოწონებული და მიღებულია საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1990 წლის 22 ნოემბრის სხდომაზე.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია.

ინფორმაცია

საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნების შედეგების შესახებ

საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნებში, რომელიც 1990 წლის 28 ოქტომბერს მრავალპარტიული სისტემის საფუძველზე ჩატარდა, მონაწილეობა მიიღო 11 პოლიტიკურმა პარტიამ და პარტიათა ბლოკმა.

არჩევნებში მონაწილეობდა 2·311·921 ამომრჩეველი, რაც ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 67 პროცენტს შეადგენს.

ბათილად იქნა ცნობილი 84·757 ბიულეტენი (ამომრჩეველთა საერთო რაოდენობაა 344·002).

არჩევნები ტარდებოდა შერეული მაჟორიტარულ-პროპორციული სისტემით.

არჩევნების შედეგად ხმები შემდეგნაირად განაწილდა:

პროპორციული სისტემა

საარჩევნო ბლოკმა „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველო“ მიიღო ხმების 53,94 პროცენტი.

საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ — 29,57 პროცენტი.

ბლოკმა „თავისუფლება“ — 3,1 პროცენტი.

სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ — 1,4 პროცენტი.

„თანხმობა, ერთობა, აღორძინებამ“ — 3,47 პროცენტი.

საქართველოს სახალხო პარტიამ — 0,67 პროცენტი.

რუსთაველის საზოგადოებამ — 2,32 პროცენტი.

მიწათმოქმედთა კავშირმა — 0,32 პროცენტი.

საარჩევნო ბლოკმა „განთავისუფლება და ეკონომიკური აღორძინება“ — 1,46 პროცენტი.

№ 11
ეროვნული
ბიბლიოთეკა

სახალხო ფრონტმა — 1,93 პროცენტი.

დემოკრატიულმა პარტიამ — 1,76 პროცენტი.

პროპორციული სისტემით არჩევნების შედეგების მიხედვით საქართველოს უზენაეს საბჭოში შევლენ:

ბლოკი „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველოსა“ და საქართველოს კომუნისტური პარტიის წარმომადგენლები: შესაბამისად 86 და 44 დეპუტატი.

პროპორციული სისტემით არჩევნები რესპუბლიკაში დამთავრებულია.

მაჟორიტარული სისტემით ასარჩევი 125 დეპუტატიდან 28 ოქტომბერს არჩეულ იქნა 57 დეპუტატი.

მათგან ბლოკის „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველოს“ წარმომადგენელია 33 კაცი.

საქართველოს კომპარტიისა — 17.

თითო-თითო წარმომადგენელი ჰყავთ ბლოკებს: „დემოკრატიული საქართველო“, „განთავისუფლება და ეკონომიკური აღორძინება“ და საქართველოს სახალხო ფრონტს.

არჩევნებში გაიმარჯვა აგრეთვე 4 დამოუკიდებელმა კანდიდატმა.

სოხუმის ორ, ბიჭვინთის, ოჩამჩირის, ცხინვალის, ჯავის, ზნაურის საარჩევნო ოლქებში უნდა გაიმართოს არჩევნების მეორე ტური, რადგან არჩევნებში მონაწილეობდა ამომრჩეველთა 50 პროცენტზე ნაკლები.

ტყვარჩელსა და გუდაუთაში საარჩევნო უბნებში არ გამოცხადდა არც ერთი ამომრჩეველი და არჩევნები ჩაიშალა. ამ ორ ოლქში საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ კანონის მე-60 მუხლის შესაბამისად არჩევნები უნდა ჩატარდეს თავიდან — ორი თვის შემდეგ, დანარჩენ 59 ოლქში ტარდება ხელახალი ხმის მიცემა.

ხელახალი ხმის მიცემა და არჩევნების მეორე ტური 66 მაჟორიტარულ ოლქში დანიშნულია კვირას, 11 ნოემბერს. ამჟამად 1990 წლის 28 ოქტომბერს ჩატარებული არჩევნების შედეგად ასარჩევ 250 ადგილზე არჩეულია 182 დეპუტატი.

ასეთია 1990 წლის 28 ოქტომბერს რესპუბლიკაში ჩატარებული არჩევნების შედეგები.

საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს პირველი სხდომის მორიგი სხდომა

(1990 წლის 22 ნოემბერი)

22 ნოემბერს მუშაობა განაახლა საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს პირველმა სესიამ. იგი გახსნა უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ზვიად გამსახურდიამ. დღის წესრიგის დამტკიცების შემდეგ დეპუტატები შეუდგნენ მისი საკითხების განხილვას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღის წესრიგში პირველ საკითხად აღნიშნული იყო **რესპუბლიკის** პარლამენტის მუდმივი კომისიების შემადგენლობათა დამტკიცება. წინადადებებით ამ საკითხზე გამოვიდნენ კომისიათა თავმჯდომარეები: კანონმდებლობისა და კანონიერების დაცვისა — ნუგზარ მოლოდინაშვილი, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიისა — ტარიელ გელანტია, ეკონომიკური რეფორმისა — გივი თაქთაქიშვილი, ჰუმანიტარული და სოციალური საკითხებისა — **რობერტ პეტრიაშვილი**, მრეწველობის, ენერგეტიკის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობისა — ბაკურ გულუა, სოფლის მეურნეობის, **მიწათსარგებლობისა** და ეკოლოგიისა — ირაკლი ჩხეიძე. **საერთაშორისო ურთიერთობის კომისიის** თავმჯდომარის მოადგილე მერაბ ურიდია, **კულტურის, განათლებისა** და მეცნიერების კომისიის თავმჯდომარე — თეიმურაზ ქორიძე, თავდაცვის, ეროვნული უშიშროებისა და მართლწესრიგისა — **ვაჟა ადამია.**

განსახილველი **საკითხის გამო აზრთა გაზიარების** შემდეგ სესიამ დაამტკიცა ამ **კომისიათა შემადგენლობები.**

შემდეგ სიტყვა მიეცა **საქართველოს** რესპუბლიკის მინისტრთა **საბჭოს** თავმჯდომარეს თენგიზ სიგუას. მან წარმოადგინა **რესპუბლიკის** მინისტრთა ახალი კაბინეტის ჩამოყალიბების, ზოგიერთი სამინისტროსა და **უწყების** სტრუქტურათა რეორგანიზაციის განხორციელების მთელი რიგი წინადადებები, დაასახელა მინისტრთა პოსტების კანდიდატურები: ამის შემდეგ კანდიდატურათა განხილვა გადაეცა მუდმივ **კომისიებს**, რადგან მოქმედი კანონის თანახმად უზენაესი **საბჭოს** სესიას შეიძლება ჰქონდეს საკუთარი მოსაზრება **რესპუბლიკის** მთავრობის მეთაურის წინადადებასთან დაკავშირებით მხოლოდ ამ **კომისიებში** მათი წინასწარი განხილვის შემდეგ, **რაც** შედგა კიდეც შესვენების დროს.

შესვენების შემდეგ, მიიღო რა დადგენილება დღემდე მოქმედი ოფიციალური დღესასწაულების გაუქმებისა და **საქართველოს** დამოუკიდებლობის დღის — 26 მაისის, აგრეთვე ტრადიციული ქრისტიანული დღესასწაულების აღდგენის შესახებ, პარლამენტმა **განაგრძო** მინისტრთა თანამდებობაზე კანდიდატების განხილვა. **მუდმივ** კომისიათა რეკომენდაციებით სესიამ დანიშნა: იუსტიციის მინისტრად — ჯონი ხეცურიანი, განათლების მინისტრად — ლია ანდღულაძე. **კულტურის** მინისტრად — ნოდარ წულეისკირი, სასტელერადიოს თავმჯდომარედ — თეიმურაზ კვანტალიანი, **მეცნიერების, ტექნიკისა** და **პერსპექტიული** დაგეგმვის **მინისტრად** — **ირაკლი** ჟორდანია, **კავშირგაბმულობის** მინისტრად — ფელიქს ტყებუჩავა, ვაჭრობის **მინისტრად** — **თამაზ** გველესიანი, ფინანსთა **მინისტრად** — **გურამ** აბსანძე, შინაგან **საქმეთა** **მინისტრად** — **დილარ** ხაბულიანი, **საგარეო** **საქმეთა** **მინისტრად** — **გიორგი** ხოშტარია, **ტრანსპორტის** **მინისტრად** — **ალექსანდრე** ჩხეიძე, **ჯანმრთელობის** **დაცვისა** **და** **სოციალური** **უზრუნველყოფის** **მინისტრად** — **ირაკლი** **მენაღარიშვილი.**

სესიამ **დამტკიცა** **საქართველოს** **რესპუბლიკის** **კანონი** **რესპუბლიკის** **კონსტიტუციაში** **ცვლილებათა** **და** **დამატებათა** **შეტანის** **თაობაზე.** **შემდეგ** **დეპუტატებმა** **განიხილეს** **სამხრეთ** **ოსეთის** **ავტონომიური** **ოლქის** **სახალხო** **დეპუტატთა** **საბჭოს** **მიერ** **ოლქის** **სტატუსის** **შეცვლის** **გამო** **მიღებული** **გადაწყვეტილებების** **შესახებ** **დადგენილების** **პროექტი.** **საქარ-**

№ 11
ეროვნული
ბიბლიოთეკა

თველოს უზენაესმა საბჭომ გაუქმა ყველა აქტი, რომელიც მიიღო ამასწინათ გამოცხადებულმა ეგრეთ წოდებულმა „სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიულმა რესპუბლიკამ“, რადგან ისინი ეწინააღმდეგება საქართველოს რესპუბლიკის მოქმედ კონსტიტუციას, აგრეთვე სსრ კავშირის კონსტიტუციის დებულებებს და ჯერ კიდევ მაშინ საქართველოს სს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1990 წლის 21 სექტემბრის დადგენილებას. ამასთანავე, დადასტურებულია საქართველოს უზენაესი საბჭოს უწინდელი გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ შემდგომშიც დაცული იქნება რესპუბლიკაში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობათა უფლებები, როგორც ეს გარანტირებულია საერთაშორისო სამართლის პრინციპებით. შესწორებათა შეტანისა და დაზუსტების შემდეგ სესიამ მიიღო დადგენილება.

დეპუტატებმა მოისმინეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის აკაკი ასათიანის ინფორმაცია სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს სესიის მუშაობაში ჩვენი რესპუბლიკის დელეგაციის მონაწილეობის შესახებ და ცნობად მიიღეს იგი.

პარლამენტმა მიიღო განცხადება ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების კონცეფციის გამო, რომელიც ახლახან შემოვიდა რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში. საქართველოს უზენაესმა საბჭომ ერთხმად მიიღო კანონი რესპუბლიკაში გარდამავალი პერიოდის გამოცხადების შესახებ მისი სრული სახელმწიფო დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის აღდგენის გზაზე, რომლებიც მან დაკარგა 1921 წლის თებერვალში მაშინდელი საბჭოთა რუსეთის მთავრობის მხრიდ შეიარაღებული აგრესიის შედეგად. იმ პირობებში, როცა საბჭოთა კავშირში მოქმედი პოლიტიკური, ეკონომიკური და სამართლებრივი სტრუქტურები გვლისხმობენ ცენტრზე მეტისმეტ დამოკიდებულებას და ართმევენ რესპუბლიკას ნამდვილი სუვერენული სახელმწიფოს ატრიბუტიკას, საქართველოს პარლამენტს შესაძლებლად არ მიაჩნია ხელი მოაწეროს ახალ სამოკავშირეო ხელშეკრულებას, იკისროს რაიმე ვალდებულებანი. შემდეგ დეპუტატებმა დაამტკიცეს საქართველოს რესპუბლიკის ახალი კონსტიტუციის პროექტის მოსამზადებელი კომისიის შემადგენლობა.

როგორც ცნობილია, წინა სხდომაზე სესიამ მიიღო დადგენილება საქართველოს ტერიტორიაზე საყოველთაო სამხედრო მოვალეობის შესახებ სსრ კავშირის კანონის მოქმედების შეჩერების თაობაზე. ამჯერად პარლამენტმა დაამტკიცა შესაბამისი ცვლილებანი რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსში, რომლებიც აუქმებენ წინათ გათვალისწინებული სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას საბჭოთა არმიის რიგებში სამსახურისაგან თავის არიდებისათვის.

უზენაესმა საბჭომ ჩამოაყალიბა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში შექმნილი სიტუაციის შემსწავლელი და 1983 წლის 18 ნოემბერს თვითმფრინავის გატაცების ცდის მონაწილეთა ბედის დამდგენი კომისია. სხვათა შორის, ეს კომისია შეიქმნა დეპუტატ ვიქტორ დომუხოვსკის მიერ 14 ნოემბერს სესიის სხდომაზე შეკითხვის წესით დაყენებული საკითხის თანახმად.

დეპუტატებმა განიხილეს და დაამტკიცეს კანონი ამნისტიის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასასრულს სესიის მონაწილეთა წინაშე განცხადებით გამოვიდა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზვიად გამსახურდია. მან, კერძოდ, აღნიშნა, რომ ამ ბოლო ხანს საქართველოში მომხდარი ამბები, წარმოადგენს მშვიდობიან რევოლუციას. მაგრამ არიან ძალები, რომლებიც თავიანთი უპასუხისმგებლო მოქმედებით ქმნიან ჩვენში ვითარების დესტაბილიზაციის რეციდივებს და ამით ხელს უწყობენ ცენტრის იმ წრეებს, რომლებიც ყოველნაირად ცდილობენ უკან დაგვაბრუნონ. ეს უნდა შეიგნოს თითოეულმა და თავისი წვლილი შეიტანოს საქართველოს ნათელი მერმისის დადგომაში. ამჟამად იქმნება ეროვნული მილიცია, და ის, ვინც მის წინააღმდეგ გაილაშქრებს, იგი ქართველი ერის წინააღმდეგ ილაშქრებს.

ამით სესიის მორიგმა სხდომამ დაამთავრა მუშაობა.